გილოცავთ შობა-ახალ წელს!

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №1-2 (7125) 15 იანვარი 2025 წელი

„ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ ... როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე თქვენც გიყვარდეთ ერთმანეთი“ (იოანე 13.34.)

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის

საშობაო ეპისტოლე

საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთ, მკვიდრთ ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ:

„სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში გამათავისუფლა მე ცოდვისა და სიკვდილის რჯულისაგან“ (რომაელთა 8,2)

ქრისტესმიერ საყვარელნო დანო და ძმანო, ქრისტე იშვა!

ჭეშმარიტად იშვა სიტყვა ღვთისა, – უფალი ჩვენი იესო ქრისტე, – „ვის მიერადაც ყოველი შეიქმნა, და არაფერი შექმნილა მის გარეშე, რაც კი შექმნილა!“ (იოანე 1.3) „გახარებთ დიად სიხარულს, რომლითაც იხარებს ყოველი ერი, რამეთუ დღეს დავითის ქალაქში დაიბადა ... მაცხოვარი“ (ლუკა II, 10-11).

ყველა პრობლემას უკვე ჩვენ ამ სიხარულით ვფარავთ, ამით ვძლევთ ჩვენს სისუსტეებსა და განსაცდელს, ამით ვძლევთ უსამართლობას, მწუხარებასა და ტკივილს.

მართლაც, რა უნდა იყოს იმაზე მნიშვნელოვანი და დიადი, როცა თვით ღმერთი შემოდის ჩვენს ცხოვრებასა და ისტორიაში, რათა ჩვენი არსებობის მთავარი მიზნის განხორციელებაში დაგვეხმაროს.

მაგრამ როგორ შევხვდებით მას, ვითარცა ძენი და ასულნი ღვთისანი, ვითარცა თვისნი მისნი თუ როგორც მხოლოდ შორეულნი, უცხონი ან თითქმის მისგან განდგომილნი? ☞3

ალილო თერჯოლაში

ქრისტეშობის დღესასწაული ერთ-ერთი უპირველესია დღესასწაულთა შორის. შობის სიხარულს ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით გამოხატავენ მორწმუნენი. სწორედ ასე იყო 7 იანვარს, თერჯოლაში, როცა შობის დღესასწაულზე ალილოს საზეიმო მსვლელობაში მონაწილეობის მისაღებად გამოვიდნენ ჩვენი თანამემამულენი.

შობას, ზამთრის მიუხედავად, მზიანი დარი იდგა. ქუჩებში კი იყო ხალხმრავლობა და საზეიმო განწყობა. 12 საათზე, ჭაბუკმთის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძრიდან, ალილოს მონაწილეებმა ქალაქის ცენტრისაკენ მსვლელობა დაიწყეს და ქალაქის ყველა ადგილი მოიცვეს.

მახარობელ-მგალობლებს, ანგელოზთა გუნდს, მწყემსებს, წინ ხარებშებმული ურემი და ცხენოსნები მიუძღვოდნენ. ალილოს მსვლელობას გზადაგზა მოქალაქეები სასაჩუქრე კალათებითა და საშობაო ძღვენით უერთდებოდნენ.

ალილოს საშობაო მსვლელობას შეუერთდნენ ადგილობრივი თვითმმართველობა, თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქიის მიტროპოლიტი, მეუფე გიორგი შალამბერიძე, აქ არიან ჭაბუკმთის წმინდა გიორგის სახელობისა და თერჯოლის ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძრების სასულიერო პირები, მრევლი და სტიქაროსნები.

ალილოს მსვლელობაში ოჯახთან ერთად მონაწილეობდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, რომლის ინიციატივით წელს უკვე მეორედ გაიმართა ეს ულამაზესი სანახაობა.

ალილოს მსვლელობაში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებები: სამუსიკო საგანმანათლებლო სკოლა, მოსწავლეახალგაზრდობის ცენტრი, სამხატვრო-საგანმანათლებლო სკოლა, ადმინისტრაციული ერთეულები, ა(ა)იპების წარმომადგენლები და ქალაქში არსებული სხვადასხვა ორგანიზაციები...

„ალილო—2025“ დღის ბოლოს ქალაქის ცენტრში მდებარე ღვთისმშობლის ☞5

გვილოცავენ, ვულოცავთ!

ჩვენი რეგიონის განვითარების გზა ჩვენს ხელშია!

რამდენიმე დღეა, რაც კალენდარზე 2025 წელია, უკეთესი მომავლის რწმენისა და იმედის წელი...

ახალ წელს ულევი სიხარული, სიკეთე და წარმატებები მოეტანოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის.

მისი წინამორბედი 2024 წელი არ იყო მარტივი ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ სირთულეებისა და რისკების მიუხედავად გვქონდა პროგრესი ყველა მიმართულებით.

ჩვენი რეგიონისთვის გასული წელი მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა. 2024 წელს იმერეთის განვითარებისთვის დაიხარჯა 1 046 360 946 ლარი და შესრულდა 3 163 პროექტი.

გასული წლის ბოლო დღეებში კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტი შეემატა იმერეთს. დასრულდა ქვესადგურ „წყალტუბო 500“-ის მშენებლობა. პროექტის განხორციელების შედეგად, მნიშვნელოვნად გაძლიერდება მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელი.

ასევე გასულ წელს საფუძველი ჩაეყარა ქუთაისში, პარლამენტის ყოფილ შენობაში პირველი ტექნოლოგიური ჰაბის განთავსებას. შესაბამისი სამუშაოები უკვე დაიწყო და მიმდინარე წელსაც გაგრძელდება.

ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბი იქნება ინოვაციების, შესაძლებლობებისა და კრეატივის სივრცე, ის მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის ციფრულ და ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტია ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის ახალი - 3,5 კმ-იანი ასაფრენ-დასაფრენი ზოლისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის დაწყება, რაც ხელს შეუწყობს აეროპორტთან ლოჯისტიკური ცენტრისა და სატვირთო ტერმინალის განვითარებას.

გასულ წელს, ჩვენი ქვეყნის საუკუნის პროექტის ფარგლებში, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გზის რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთზე, რიკოთის ისტორიული გვირაბის პარალელურად, ახალი 1800 მ-იანი გვირაბის მშენებლობა დასრულდა. გარდა ამისა გაიხსნა შორაპანი-არგვეთას მონაკვეთზე ზესტაფონის შემოვლითი 9 კმ-იანი მაგისტრალური გზა.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმერეთში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მიზნით არაერთი სკოლისა და საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდა. მომავალ თაობებზე ზრუნვა და თანაბარ პირობებში განათლების ხელმისაწვდომობა ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტია.

2024 წელს 200-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი. აქვე მინდა აღვნიშნო იმერეთის მუნიციპალიტეტის მერიების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამები. რეგიონის 5 მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ 30-მდე ოჯახს ახალი სახლი აუშენდა.

ამ მხრივ კარგად იმუშავეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სადაც საახალწლოდ თორმეტ სოციალურად დაუცველ ოჯახს ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად გადავეცით ახალი საცხოვრებელის გასაღები.

ბუნებრივია, ყველა პროექტზე ვერ ვისაუბრებთ ამ საახალწლო მიმართვაში, თუმცა მინდა იცოდეთ, რომ თითოეული მათგანი არის მოქალაქეების საჭიროებებზე მორგებული.

ჩვენი რეგიონის და ზოგადად ქვეყნის განვითარების გზა არის ჩვენს ხელში, ერთად უნდა გავუმკლავდეთ დაბრკოლებებს და შევქმნათ ძლიერი ქვეყანა, ქვეყანა რომელიც თავისი უნიკალური კულტურით და ტრადიციებით იქნება ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი!

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ გზაზე აუცილებლად მივაღწევთ მნიშვნელოვან წარმატებებს.

სწორედ ამ იმედით კიდევ ერთხელ გილოცავთ შობას და ახალ 2025 წელს!

ლევან ზალკანიანი,
სახელმწიფო რწმუნებული
იმერეთში

ძვირფასო თერჯოლელებო!

გილოცავთ შობა-ახალ წელს, გისურვებთ ბედნიერებას, სიხარულს, ბარაქას, სითბოს და სიყვარულს!

ყოველი ადამიანი განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება ახალ წელს, მოლოდინით ცვლილებებისა უკეთესობისაკენ, მოლოდინით, რომ დადგა სურვილების ასრულების, წინსვლის, განვითარების, მიზნების განხორციელების დრო.

ვისურვებდი, რომ ახალი 2025 წელი ყოფილიყოს, სასიკეთო ცვლილებებით, სიყვარულით და ბედნიერებით დატვირთული წელი.

მჯერა, რომ ჩვენი ერთიანობით, პატივისცემით, დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით, მუხლჩაუხრელი შრომით, ურთიერთსიყვარულით და ურთიერთთანამშრომლობით შევძლებთ, რომ უკეთეს მუნიციპალიტეტში ვიცხოვროთ!

ვიმედოვნებ, რომ 2025 წელი კიდევ უფრო საქმიანი, წარმატებული და სასიკეთო იქნება ჩვენი საყვარელი თერჯოლისათვის.

უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

კეთილი სურვილებით და სიყვარულით,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ როზაქიძე

ქრისტესმიერი სიყვარულით გილოცავთ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველო წევრო, ქრისტეშობისა და ახალი წლის შემობრძანებას

2025 წლის წინ აღსრულდა ქვეყნიერების მხსნელის შესახებ წმინდა ესაიას წინასწარმეტყველება, „აჰა, მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს.”

ბეთლემში შობილი ყოვლადძლიერი უფლის მადლით, მეძლევა საშუალება, რომ ამ წმინდა საეპისკოპოსო კათედრიდან ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის სამწყოსს კიდევ ერთხელ მივულოცო მაცხოვრის შობის დღესასწაული და ახალი წლოს შემობრძანება, გახაროთ—ქრისტე იშვა!

მინდა შეგახსენოთ ეკლესიის გამორჩეული მამის და თეოლოგის -წმ. მაქსიმე აღმსარებელის, სიტყვები „განკაცებით უფალმა ჩვენი მყოფობის მიზეზი განგვიცხადა“.

დიახ! სწორედ განკაცებით, მაცხოვრის ხორციელად შობით ჩაისახა ის იმედი და ჯოჯოხეთის შემუსვრის რწმენა, რომელსაც დღემდე გულში სათუთად ვინახავთ და ვაძლიერებთ.

შობა სიხარულის, ბოროტების ძლევისა და სიკეთის გამარჯვების დღეა. განსაკუთრებით მინდა ეს დიდებული დღესასწაული მივულოცო სამშობლოდან მოშორებით მყოფ ემიგრანტებს. ჩვენ ერთი ქვეყნის შვილები ვართ, ერთი გრძნობით ვართ შეკავშირებულები და ამ გრძნობას წინ ვერაფერი აღუდგება. ბეთლემში შობილმა უფალმა ინებოს, რომ მომავალ შობას ერთად შევხვედროდით!

გიორგი შალამბერიძე,
ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მიტროპოლიტი

გილოცავთ 2025 წელს!

სიკეთის, სიხარულისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ახალი წელი, თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის და სრულიად საქართველოსთვის!

გასულ წელს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივმა თვითმმართველობამ, წარმატებით განხორციელა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი. მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტად განვითარებული და კეთილმოწყობილი გარემო შევუქნათ თანამოქალაქეებსა და მუნიციპალიტეტის სტუმრებს.

2024 წელს დაფინანსდა 15 სოციალური პროგრამა. მათ შორის, აღსანიშნავია, სოციალური პროგრამის - „სახლდაზიანების“ ფარგლებში, 12 ახალი სახლის მშენებლობა. ჯამურად თერჯოლის მუნიციპალიტეტში, არსებული პროგრამის ფარგლებში, 41 ახალი სახლი აშენდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო განაგრძობს კულტურული და სპორტული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას.

2025 წელს მინდა თითოეულ ადამიანს წინსვლა და წარმატება ვუსურვო. ხელისუფლება და სამოქალაქო საზოგადოება, ერთმანეთის მხარდაჭერითა და ერთობლივი ძალისხმევით, შევძლებთ ჩვენი ქვეყნისთვისა და თითოეული მოქალაქისათვის უკეთესი მომავლის შექმნას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს! გისურვებთ კეთილდღეობას, ჯანმრთელობას, მშვიდობას და ბედნიერებას!

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

შობა-ახალი წლის დღეებში, ჩვენი ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის, ჩვენი გაზეთის და ხვალინდელი დღის უამრავი კეთილმოსურნე შეგვეხმიანა. სატელეფონო თუ სოციალური ქსელებით მიღებული მოლოცვებიდან სიმბოლურად შევარჩიეთ ერთ-ერთი, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელ სტუდენტს, ოქროსმედალოსან, ასპროცენტიანი გრანტის მფლობელს თერჯოლელ ვახო პატარიძეს ეკუთვნის.

წარმატება მას და მის თანატოლებს.

მადლობა მათ ქვეყნის სიყვარულისათვის.

ძვირფასო თერჯოლელებო,

გულითადად გილოცავთ 2025 წლის დადგომას!

თერჯოლის კერძო სკოლა „მზეკაბანი“ იყო ჩემი პირველი ნაბიჯი იმ გზაზე, რომელმაც ჩემი ცხოვრება განსაზღვრა. მეამაყება, რომ თერჯოლაში მიღებულმა განათლებამ და ღირებულებებმა მომცა საფუძველი, ვიაზრებდე დიდ პასუხისმგებლობას ჩემს ქვეყანასა და საზოგადოებაზე.

თერჯოლა ჩემთვის მხოლოდ ქალაქი არ არის, ეს არის ადგილი, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი უნიკალური და განსაკუთრებული ადამიანებით, რომლებიც მთელი გულით ზრუნავდნენ როგორც ქვეყანაზე, საკუთარ მომავალზე, ისე ერთმანეთზე.

გავაძლიეროთ ეს ერთიანობა და გავაგრძელოთ შრომა უკეთესი მომავლის შესაქმნელად.

2025 წელი იყოს ახალი შესაძლებლობების, ხვავისა და ბარაქის, სიხარულის წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის. თერჯოლას მუდამ განსაკუთრებული ადგილი ექნება ჩემს გულში. მჯერა, რომ თითოეული თქვენგანი იქნება იმ სასიკეთო ძვრების ნაწილი, რაც ჩვენს ქალაქსა და ქვეყანას წაიყვანს წინ.

„ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ ... როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე თქვენც გიყვარდეთ ერთმანეთი“ (იოანე 13.34.)

1☜

საშობაო ეპისტოლე

ჩვენ უფლის განგებულების განსაკუთრებული გამოვლინებანი ვართ

გასაოცარია ყველაფერი, რაც ჩვენს პირველმშობლებამდე შეიქმნა, – უმცირესი ნაწილაკები იქნება ეს, მცენარეები, ფრინველები, ცხოველები, ზღვის ბინადარნი თუ ციური სხეულები... ისინი დიდი მრავალფეროვნებით, დიდი უნარებით, დიდი თავისებურებებით გამოირჩევიან, მაგრამ მათი მოქმედებები და შესაძლებლობები იყო და არის შეზღუდული.

მხოლოდ ადამიანი მოიცავს ფიზიკურსა და სულიერს, მიკრო და მაკრო სამყაროს, და ძალუძს შეიყვაროს იგი, როგორც თავისი ნაწილი ამქვეყნადაც და მარადისობაშიც.

მხოლოდ ადამიანია ღვთის ხატებად და მსგავსებად შექმნილი, გონიერი, მეტყველი, სიკეთით, თავისუფალი ნებითა და ღვთაებრივი სიყვარულის უნარით დაჯილდოებული არსება; მოწოდებული, შეიცნოს ჭეშმარიტება და ემსახუროს მას.

ღმერთმა იგი იმიტომ დაჰბადა, რომ თავის მარადიულ სიკეთეთა თანაზიარად გაეხადა და ის ნეტარებები განეცადა, რაც უფალს აქვს. ადამიანი ხილული სამყაროს მეფე უნდა ყოფილიყო და, ღმერთს მიმსგავსებულს, სიბრძნითა და სიყვარულით განეგო იგი.

ჩვენს პირველმშობლებს მთელი თავისი ნებელობა უფლისკენ ჰქონდათ მიმართული და სრულად ღვთისას იზრახავდნენ. ამასთან, მათი სული სულ უფრო მეტად განიმტკიცებდა საღვთო ბუნების თვისებებს – სათნოებებს და ხარობდა ამით.

როგორც ცნობილია, შემდგომ ბოროტმა ძალამ მოატყუა ისინი, როცა უთხრა: შემოქმედი იმიტომ გიკრძალავთ ხე-ცნობადისას ნაყოფის ჭამას, რომ მისებრ ღმერთი არ გახდეთო.

სინამდვილეში კი ჩვენი განღმრთობა სწორედ უფლის ჩანაფიქრი იყო, მაგრამ ამისთვის ადამი და ევა თანდათან უნდა მომზადებულიყვნენ და უფლის მორჩილებით ასულიყვნენ სრულყოფის კიბეზე. ისინი კი, ჯერ კიდევ სულიერად მოუმწიფებელნი, შეეცადნენ, გატოლებოდნენ მას, ვინც დაჰბადა ისინი და ყველაფერი უშურველად მისცა; თანაც ამის მიღწევა მათ ღმერთისგან განდგომით მოინდომეს და მისი ნების წინააღმდეგ წავიდნენ. ვერ დააფასეს უფლისგან ბოძებული, თვით ანგელოზებზე აღმატებული პატივი, უხილავი ღმერთის თანაშემწეობაზე უარი თქვეს და მოინდომეს ღმერთად გახდომა.

ცოდვამ აამღვრია და დაასნებოვნა ადამის და ევას შინაგანი სამყარო, რასაც თავისთავად მოჰყვა შესაბამისი შედეგი: სიცოცხლის ნაცვლად მიიღეს სიკვდილი; ნეტარების ნაცვლად – ტანჯვა და მწუხარება, ძლიერების ნაცვლად – უძლურება... და ერთბაშად დაკარგეს თვითმფლობელობაც და საღვთო ხელმწიფებაც; მათი მორჩილი სტიქიონებიც და ცოცხალი არსებებიც მტრად გაუხდნენ და მარტონი დარჩნენ გარემო სივრცის პირისპირ.

ეს უმძიმესი ცვლილება კი მოხდა იმიტომ, რომ მათი გული ღმერთს განეშორა და შემოქმედის ადგილი ეგოისტურმა „მე“-მ დაიკავა.

ამპარტავნება და ეგოიზმი არის უფლისგან განდგომილი ადამიანის მკვეთრი მახასიათებელი. დაცემის შემდეგ ჩვენს პირველმშობლებში თავდაპირველად სწორედ ეს მიდრეკილებები გაჩნდა და მათი პირადი ურთიერთობებიც მყისიერად დაამახინჯა – ერთმანეთზე და გარემოზე ზრუნვა, ღმერთზე მინდობა... საკუთარ თავზე მინდობამ და ეგოცენტრიზმა შეცვალა.

ბოროტი ძალისგან თავს მოხვეული ეს მანკიერება დღემდე ჩვენს მთავარ პრობლემას წარმოადგენს და ამიტომაც არის, რომ, როგორც ერთი ღვთისმეტყველი ამბობს, ჩვენს ცხოვრებაში სიტყვა „მე“ განსაკუთრებულად დომინირებს.

ეგოისტის ბუნება ისეთია, რომ იგი შეჰხარის თავის თავს, მოსწონს თავის თავში არსებული ნიჭები, რასაც საკუთარ დამსახურებად მიიჩნევს და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ყველგან და ყოველთვის ცდილობს საკუთარი თავის წარმოჩენას, ღმერთი კი დავიწყებული ჰყავს, ან მექანიკურად ახსენებს მის სახელს.

ჩვენ უნდა გავითავისოთ, რომ თუ რაიმე ნიჭი და უნარი გვაქვს, უფლის მიერაა ბოძებული, ჩვენია მხოლოდ პირადი ნება, რომელიც სწორად უნდა წარვმართოთ. ამასთან, ჩვენი მოწოდებაა, ვიყოთ მოყვასის მსახურნი უფლისკენ სვლაში. იესო ქრისტეც მსახურებისთვის მოვიდა ამქვეყნად და ჩვენც ეს მისია დაგვაკისრა. ასე რომ, ნებისმიერი სხვა ადამიანისადმი ჩვენი ერთგულება, სიყვარული და თავდადება არის ჩვენი გადამრჩენელი, ღმერთამდე ჩვენი მიმყვანებელი.

ამიტომაც, სხვა მცნებებთან ერთად, უნდა აღვასრულოთ ერთ-ერთი ყველაზე უპირატესი სწავლება

უფლისა: „შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისი“ და უმეტესი ამისა, ახალი მცნება ახალი აღთქმისა, რომელიც მაცხოვრისაგან ასეთი სახით მოგვეცა: „ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ ... როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე თქვენც გიყვარდეთ ერთმანეთი“ (იოანე 13.34).

მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ჩვენი პირადი უდიდესი სასწაულის აღსრულებას, – გულიდან ეგოიზმის გაძევებას და მასში უფლის დავანებას, მხოლოდ ამ საშუალებით მოვიპოვებთ ზეცის მოქალაქეობას.

„მე ვარ კარი, ჩემს მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს“ (იოანე 10,9) – გვასწავლის იესო ქრისტე.* * *

დაცემული ადამიანის თვისებაა სიკვდილის შიშიც. ამიტომაც ეძებდა და კვლავაც ეძებს იგი სიცოცხლის გახანგრძლივების გზებს, იგონებს სხვადასხვა მეთოდს, რომ შეიქმნას კეთილდღეობის ილუზია, მაგრამ ამაოდ.

ეს ყოველივე უფრო დიდი შეცდომების მიზეზი ხდება და აღრმავებს ჩვენში ისედაც არსებულ სულიერ კრიზისს.

ასეთი პიროვნება ვერ აცნობიერებს, რომ სიკვდილის შიში სინამდვილეში ცოდვებიდან მომდინარეობს, რომ ცოდვას დამონებული სული გაუცნობიერებლად უფრთხის ღმერთთან შეხვედრას და ამიტომაც ძრწის; მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მანკიერებებს განეშოროს და სული განიწმინდოს, ხშირად ნიჰილიზმში ვარდება და ათეიზმს აფარებს თავს (თუმცა ურწმუნოების მიზეზი სხვაც არაერთია).

ასეთი ადამიანებისთვის ცხოვრება პერიოდია დაბადებიდან სიკვდილამდე და სიკვდილთან ერთად მათთვის მთავრდება ყველაფერი. ამიტომაც მიაჩნიათ, რომ ბოროტება, სიკეთე, ფარისევლობა, ერთგულება, შური, სიყვარული, უზნეობა ... ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობებია და რაიმე პასუხისმგებლობას არც კონკრეტული პიროვნების და არც ღვთის წინაშე არ გრძნობენ, რადგან არ სწამთ იმქვეყნიური ცხოვრების, არ სწამთ მარადიული ფასეულობების.

დღეს ქრისტე იშვება დედამიწაზე, საოცარი თავმდაბლობითა და უბრალოებით, და მოაქვს სიცოცხლის ნათელი მათთვის, ვისაც სწამს, რომ ღვთის ხატადაა შექმნილი და ესწრაფვის ცხონებას

ჩვენ ვსაუბრობთ იმ რწმენაზე, რომელიც, ადამიდან მოყოლებული, გადაეცემოდა თაობიდან თაობას პირველ მამათა, მამათმთავართა, წინასწარმეტყველთა, მართალთა ... მიერ და გვასწავლიდა, რომ არ ვართ შემთხვევითი არსებები, რომ არ ვართ სიკვდილისთვის გაჩენილნი, არამედ მარადიული ნეტარებისა და ღმერთთან მყოფობისათვის მოწოდებულნი.

უფალს ელოდა სიწმინდით, სიმართლით და სიყვარულით მცხოვრები ჭეშმარიტი სიბრძნისა და სიმართლის მაძიებელი ყოველი ადამიანი. იგი იყო „მოლოდება წარმართთაც“ (დაბადება: 49. 10).

წარმართთა შორის ღრმად მოაზროვნენი გრძნობდნენ სულიერ შიმშილს, მათ არ აკმაყოფილებდათ ადამიანთა მიერ შეთხზული გადმოცემები სხვადასხვა „ღმერთზე“, გრძნობდნენ მათ სიყალბეს და ელოდნენ ჭეშმარიტს, ნამდვილსა და აღმატებულს.

ასე იყო საქართველოშიც. ქრისტიანობის შემოსვლისთანავე ქართველთა უმრავლესობამ უარყო წარმართობა და სიხარულით მიეგება ზეციდან უწყებულ სახარებას. ეს იყო ქართველთა ცივილიზაციური მტკიცე არჩევანი, რომელიც ეროვნული ცნობიერების ნიშან-სვეტად იქცა.

ქრისტე მოგვევლინა ჩვენი სხეულით, ჩვენი ბუნებით და გახდა ჩვენი ცხოვრების მტვირთველი (გარდა ცოდვისა); უჟამო იგი ჟამიერ იქმნა, უხორცო – ხორციელი, უკვდავი – მოკვდავი, რათა მსგავსებით მსგავსი გადაერჩინა და თითოეული ჩვენგანისათვის ეთქვა: მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი ხატება არ არის შენში ბოლომდე წარხოცილი; ჩემი შესაძლებლობები შენი შესაძლებლობებიცაა და შენთან ერთად მზად ვარ, მონაწილეობა მივიღო შენს ფერისცვალებაში, შენს გადარჩენაში.

მას ჩვენს რეალობაში შემოაქვს სამოთხის კანონები, – მცნებები, ზეცის მოქალაქეთა თვისებები, რათა გავაცნობიეროთ ცოდვა ჩვენს ყოფაში და სინანულით აღვხოცოთ იგი, ამით განვაქარვოთ ჩვენი სიკვდილი და გარდაცვალება მარადიული ნეტარმყოფობის საწყისად ვაქციოთ.

ჩვენ უნდა ვუკვირდებოდეთ ჩვენს სიტყვასა და საქმეს, სინდისის ხმას, საზოგადოებასთან თანაცხოვრებას, საღვთო წიგნებში განცხადებულ ღვთის სიბრძნეს და ბეთლემს შობილი მაცხოვრის მიერ დაარსებული ეკლესიისა და აქ აღსრულებულ საიდუმლოთა მადლით უფლის აღდგომისა და ამაღლების თანაზიარნი გავხდეთ.

„ქრისტიანობა რჩეულთა ხვედრია: თქვენ კი რჩეულთა მოდგმა ხართ, სამეუფო სამღვდელო, წმინდა ერი, წილხვედრი ხალხი, რათა გამოაცხადოთ მისი სათნოებანი, ვინც სიბნელიდან თვისი საკვირველი ნათლისკენ გიხმოთ“ (I პეტრე, 2,9).

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით, ღმერთმა შეგვინდოს შეცოდებანნი ჩვენნი და შეგვაძლებინოს, პეტრე მოციქულის ეს სიტყვები ჩვენს ერზე, თითოეულ თქვენგანზე და ჭეშმარიტების გზით მავალ ყველა ადამიანზე გაცხადდეს.

კურთხეულია უფლის შობის დიადი საიდუმლოს მხილველი და აღმქმელი თქვენი სულიერი თვალნი. კურთხეულია ბეთლემის სასწაულის სულიერად განმცდელი თქვენი გული.

კურთხეულია თქვენი სასმენელნი, რომელთაც დღესაც ახარებს ანგელოზთა საგალობლის ხმა: „დიდება მაღლთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

ამ დიდი ძალისა და სიღრმის მქონე ზეციურმა სიტყვებმა, დაე, მოიცვას და ღმერთში გააერთიანოს სრულიად საქართველო, უცხოეთში მყოფი თანამემამულენი და ყოველი კეთილი ნების ადამიანი, რათა მოგვებთან და მწყემსებთან ერთად, გავემართოთ ბეთლემისაკენ, ანთებული სანთლებით მივეახლოთ ყრმა იესოს და კრძალვითა და სიხარულით აღმოვთქვათ: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ ... ღმერთი ჩემი ხარ შენ, და აღგამაღლო შენ; ღმერთი ჩემი ხარ შენ, აღგიარო შენ; აღგიარო შენ, რამეთუ ისმინე ჩემი და იქმენ ჩემდა მაცხოვარ“ (ფსალმუნნი 117,23,29).

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,
ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
თბილისი,
შობა ქრისტესი
2024-2025წ.

ძველი და ახალი წლების გზაგასაყარზე...

ძველი წლის ბოლო და ახალი წლის პირველ დღეებში

სამყაროში ახალმა, 2025 წელმა შემოაბიჯა და ისტორიას ჩაბარდა ძველი—2024 წელი, რომელმაც ბევრ სიხარულთან ერთად არაერთი ტკივილი და წუხილიც მოგვიტანა.

ჩვენი საზოგადოებისათვის განსაკუთრებულად თავზარდამცემი იყო და ასეც დარჩება, ის ტრაგედია, რომელიც სოფელ საბერიოში მოხდა. ღამეს გაჩენილმა ხანძარმა ოჯახის ხუთი მცირეწლოვანი გოგონა შეინირა.

დიდი გულისტკივილით ვუსამძიმრებთ დაღუპულთა ოჯახს, ახლობლებს სრულიად საქართველოს, რომელმაც 9 იანვარი გლოვის დღეს გამოაცხადა ამ შემაძრწუნებელ ტრაგედიასთან დაკავშირებით.

განცდილი ტკივილების მიუხედავად მაინც იმედით შევხვდით ახალ წელს. შევხვდით მართალია კვლავ მასობრივი პროტესტების, ხელახალი არჩევნების ჩატარების და მიტინგებზე დაპატიმრებულთა გათავისუფლების დაჟინებული მოთხოვნის ფონზე, მაგრამ შევხვდით მაინც დიდი იმედით, რომ საქართველო კვლავ გაბრწყინდება!

ტრადიციულად, ახალი წლის წინა დღეებში, თერჯოლის თვითმმართველობის ხელმძღვანელობამ დამდეგი დღესასწაულები მიულოცა 24 საათიან რეჟიმში მომუშავე დაწეწებულებების თანამშრომლებს — მედიკოსებს, მაშველ-მეხანძრეებს, პოლიციელებს. მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ შობა-ახალი წელი ასევე მიულოცა თერჯოლის დღის ცენტრ „საპოვნელას“. მან ცენტრის 2024 წლის ანგარიში მოისმინა და კერძო სექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად „საპოვნელას“ აღსაზრდელების მიერ მოწყობილ ღონისძიებას დაესწრო და ცენტრის აღსაზრდელებს საახალწლო ნობათები გადასცა.

ასევე, გასული წლის ბოლო დღეებში, მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალურ ცენტრში შემავალი საგანმანათლებლო დაწესებულებების საახალწლო ღონისძიებებს დაესწრო და დამდეგი დღესასწაულები მიულოცა მათ (დაწვრილებით ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში).

ახალი წლის წინა დღეებში თერჯოლას იმერეთის გუბერნატორი, ლევან ზალკალიანი სტუმრობდა. ის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერთან, მანუჩარ რობაქიძესა და საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად, თერჯოლის ვ. კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციის მონიტორინგზე იმყოფებოდა. თერჯოლის სამუსიკო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები რგფ-იდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ტარდება. ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, ხდება შენობას სრული რეაბილიტაცია, შეიცვალა სახურავი, შეკეთდა და შეიღება გარე ფასადი, შემოიღობა სკოლის ეზო.

ამ ეტაპზე სამუსიკო სკოლის შენობაში მიმდინარეობს შიდა სამუშაოები. დამონტაჟდა გათბობის სისტემა და სველი წერტილები, დაგეგმილია იატაკების, კედლების, ჭერის, სცენის და ასევე ეზოს კეთილმოწყობა. პროექტი გარდამავალია და 2025 წლის ზაფხულში უნდა დასრულდეს.

აღსანიშნავია, რომ სამუსიკო სკოლაში 4 სხვადასხვა მიმართულებით 173 მოსწავლე სწავლობს.

***

2024 წლის ბოლოს, თერჯოლაში ს.კ „საპოვნელას“ 2024 წლის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, იმერეთის გუბერნატორის მოადგილე ლევან კიკნაველიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საპოვნელას შემაჯამებელ ღონისძიებაზე წარმატებული სპორტსმენები, საპატიო სტუმრები, ფეხბურთის მწვრთნელები და ის ადამიანები დააჯილდოვეს, ვინც თერჯოლაში ფეხბურთის განვითარების საქმეში წვლილი შეიტანა. ღონისძიებას მუნიციპალიტეტის სპორტის სასახლემ უმასპინძლა.

გასული წლის ბოლოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის, ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ წლის ბოლო სოციალური აქცია განახორციელა. აქციის ფარგლებში, განყოფილებამ სოციალურად შეჭირვებულ ბავშვიან ოჯახებს საოჯახო ტექნიკა გადასცა.



სულ, 2024 წელს ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებამ 27 ოჯახს გაუწია მსგავსი ტიპის დახმარება, რაზედაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 21 750 ლარი დაიხარჯა.

***

გასული წლის დეკემბრის თვის მეორე ნახევარში, წინასაახალწლოდ, ბუნებამ მორიგი გამოცდა მოგვიწყო. უხვმა ნალექებმა კვლავ შექმნა გარკვეული პრობლემები. თუზის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩამოიშალა მიწის მასა, რომელმაც მოძრაობა შეაფერხა სოფელ თუზი-თავასას დამაკავშირებელ ცენტრალურ გზასა და ცინაძეებირიჟამაძეების საუბნო გზაზე.

ძლიერი წვიმის შედეგად, პრობლემები შეიქმნა ასევე სოფელ ღვანკითში, სადაც ადიდებული ნაკადულებიდან გადმოსულმა ნიაღვარმა გავაშელაშვილი-ქურცაძეების საუბნო გზა დატბორა. ელექტრო ენერგია არ მიეწოდებოდა ორი სოფლის 550 აბონენტს. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის, ა(ა)იპ დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების და სხვა სამსახურების ოპერატიული მუშაობით ეს პრობლემები მალე აღმოიფხვრა.

იმედითა და სასიკეთო ცვლილებების მოლოდინით...

იმედითა და ქვეყნისათვის სასიკეთო ცვლილებების მოლოდინით შეეგება თერჯოლა ახალი, 2025 წლის მობრძანებას.

31 დეკემბერს მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე მთავარ ნაძვის ხესთან ხელისუფლების ინიციატივით და ორგანიზებით გამართულ ღონისძიებაზე შეკრებილ თერჯოლელებს საინტერესო, მრავალფეროვანი სანახაობა და საზეიმო გასართობი კონცერტი ელოდათ.

„საახალწლო სოფელმა“ მრავალი რამ დაიტია. საბავშვო სივრცე: თამაშებით, საბავშვო წარმოდგენებით, ზღაპრის გმირებით, თოვლის ბაბუას საჩუქრებით და ა.შ.

აქვე მოეწყო საშობაო ბაზრობა: ადგილობრივი ნაწარმის, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა...

საახალწლო აქტივობა ქალაქის ცენტრში დილიდანვე დაიწყო და შეიძლება ითქვას მთელი ქალაქი მოიცვა. თერჯოლის ქუჩებში თოვლის ბაბუასთან ერთად საახალწლო ფორმაში გამოწყობილი გოგონები და ზღაპრის გმირები მოქალაქეებს და ორგანიზაციებს საჩუქრებითა და ტკბილეულით ახალ წელს ულოცავდა.

ხალხში მოძრაობდენ მსახიობები, რომლებიც ართობდნენ და ამხიარულებდნენ როგორც პატარებს, ასევე დიდებსაც. საახალწლო ღონისძიების მონაწილეებს, განსაკუთრებით ბავშვებს დიდხანს ემახსოვრებათ სხვადასხვა ზღაპრის გმირები, დრამერები თავიანთი განსაკუთრებული ფორმით და მუსიკალურობით.

სამთავრობო საახალწლო ღონისძიებას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ლევან ზალკალიანი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმდომარე გიორგი ბარათაშვილი საჯარო სამსახურის სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად შეუერთდნენ.

ვიდრე კონცერტი დაიწყებოდა შეკრებილ საზოგადოებას მიესალმნენ და ახალი წელი მიულოცეს: მანუჩარ რობაქიძემ, გიორგი ბარათაშვილმა, ლევან ზალკალიანმა, მათ აგრეთვე ახალმოსახლეობა მიულოცეს და სახლების სიმბოლური გასაღებები გადასცეს 12 თერჯოლელს, რომლებსაც მიმდინარე წელს თერჯოლის მერიის ინიციატივით და დაფინანსებით ახალი სახლები აუშენეს.

საახალწლო კონცერტი გახსნა კვარტეტმა „ფორტემ“.

წვიმისა და სიცივის მიუხედავად ხალხი არ დაიშალა და აპლოდისმენტებით აჯილდოვებდნენ კონცერტის მონაწილეებს: გია აბესალაშვილს, თიკო კორძაძეს, ინდირა ჯგერენაიას ბენდთან ერთად და ჯგუფ „არგოს“.

კონცერტს შეუერთდა ადგილობრივი ანსამბლი „მასპინძელო“ (ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკიძე) მრავალჟამიერით.

12 საათზე თერჯოლა ჩაფიქრებული სურვილებით და ლამაზი საზეიმო ფოიერვერკებით შეეგება ახალი წლის შემობრძანებას.

თეკლა კირკიტაძე

ძველი და ახალი წლების გზაგასაყარზე...

თორმეტი ოჯახი, თორმეტი ახალი სახლი და ათასი მადლობა

31 დეკემბერს, ახალი წლის ღამეს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის თორმეტ ოჯახს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა ახალი საცხოვრებელი სახლების გასაღებები გადასცა.

სახლი ადამიანთა საცხოვრებელი, ერთ სახლში მცხოვრებთა, ოჯახის წევრთა ერთობლიობაა და ამაზე უკეთესი, კარგი რა შეიძლება გქონდეს. დიახ, მათ ჰქონდათ სახლი, მაგრამ ახლა უკეთესი, ახალი სახლი აქვთ. იური გუგუმბერიძეს (ალისუბანი), რამაზ ტუზურიძეს (ახალთერჯოლა), **მურმან სვიანაძეს** (ახალთერჯოლა), ეკა ბაზაძეს (ბარდუბანი), გაგა კლდიაშვილს (ბარდუბანი), მერი კენჭოშვილს (თერჯოლა), ანა კვარაცხელიას (თუზი), მედეა ენუქიძეს (რუფოთი), **შალვა აბულაძეს** (სიქთარვა), ჰამლეტ სარდანაძეს (ღვანკითი), ნონა ბუცხრიკიძეს (ჩხარი), ვახტანგ ღვინეფაძეს (ძევრი), მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლის მშენებლობის ან შეძენისათვის სახდაზიანებული ოჯახების დახმარების პროგრამით, მუნიციპალიტეტის მერიამ, მერიის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით ახალი სახლები აუშენა.

ამ ოჯახებში იზრდებოდნენ და იზრდებიან ბავშვები, მაგრამ ახ-

ლა უკეთეს პირობებში იქნებიან, ზოგს გაცნობიერებული აქვს, დახმარება-თანადგომის მნიშვნელობა, იცის სახლის ფასი, ზოგი პატარაა, გაოცება უდგათ თვალებში, ზოგი აკვანში წევს. მშობლები ამბობენ, რომ როცა პატარები დაიზრდებიან მოუყვებიან იმ სიკეთეზე, რაც მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ გააკეთა მათი ოჯახებისათვის, აღზრდიან მათ მადლიერების გრძნობით, ასწავლიან სიკეთეს, სხვებზე ზრუნვის აუცილებლობას.

ათეულობით სული ცხოვრობს ამ ოჯახებში. ისინი ბედნიერები არიან, ახალ წელს ახალ სახლში შეხვდებიან ტრადიციების სრული დაცვით, უფროსი შვილები მეფეხეებად წავლენ, მოვლენ მათთანაც და ახალმოსახლეობას მიულოცავენ, შესაძლოა მეალილოველებიც მოვიდნენ, რა თქმა უნდა აინთება ნაძვის ხე, დაიკვლება ღორი და შემობრუნდება გობი...

შევხვდით ან ტელეფონით ვესაუბრეთ ამ ოჯახების უფროს წევრებს. მათი მადლობა ასე ჩამოყალიბდა: „უბინაო ვიყავი და გვაქვს“, „ღმერთი დიდია, დიდხანს სიცოცხლეს მისცემს ყველას, ვინც დაგვეხმარა“, „უბინაოს ყოფნა ბინაში განსაკუთრებით ამაღელვებელია“, „არც მჯერა რომ ეს სინამდვილეა“, „იქნებ ჩემმა შვილებმაც შეძლონ სხვების დახმარება“, „სად იყო ხალისი ნაძვისხის დადგმის, წვიმა ჩამოდიოდა, ახლა ავანთებ“, „არის ისეთი წუთები, როცა სიტყვა უძლურია“, „ასე მგონია ყველა და ყველაფერი შემიყვარდა“...

განაცდევინო თორმეტი ოჯახის ათეულობით წევრს ახალ სახლში შესახლების ბედნიერება, ბედნიერებაა მათთვისაც, ვინც ამ ბედნიერების მიმნიჭებელია. ოჯახის უფროსებმა მადლობა გამოხატეს მერიისა და საკრებულოს პირველი პირების და ყველას მიმართ, ვინც მცირედი წვლილიც კი შეიტანა ამ სახლების მშენებლობაში. მადლობა მათ კი არა, თქვენცო გვითხრეს.

ჟუჟუნა ცხადაძე

ალილო თერჯოლაში

1☞

ხარების სახელობის ტაძართან დასრულდა. სადაც შეკრებილ საზოგადოებას შობის დღესასწაული მიულოცა და სრულიად საქართველო დალოცეს. თერჯოლა-ტყიბულის მიტროპოლიტმა, მეუფე გიორგი შალამბერიძემ, დეკანოზმა მამა ანდრია ყიფიანმა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, მათ აგრეთვე მადლობა გადაუხადეს შეკრებილთ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ალილოს მსვლელობას დღის განმავლობაში ალამაზებდა ანსამბლების „იმერეთის“ და „მასპინძელოს“, აგრეთვე სამუსიკო სკოლისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის გუნდების „ჭიუხისა“ და „იმედის“ მიერ შესრულებული საგალობლები და სხვა ხალხური სიმღერები.

ალილოს მსვლელობისას შეგროვებული საშობაო ნობათი მუნიციპალიტეტის 19 სოფელში შეჭირვებულ ოჯახებს, შშმ ბავშვთა სახლებს, ძევრისა და სიმონეთის პანსიონატს და დედათა მონასტერს გადაეცა.

„ალილო—2025“-ის მონაწილეებისათვის ეს დღე იყო ნამდვილად მნიშვნელოვანი სიყვარულის, ურთიერთანადგომის და სიკეთის გაცხადებისა.

აღსანიშნავია, რომ საშობაო ალილო ასევე ჩატარდა მუნიციპალიტეტის სოფლებში.

მზია ცქიფურიშვილი

19 იანვარი ნათლისღებაა!
(უძრავი საუფლო დღესასწაული)

...როდესაც დადგა დრო იესო ქრისტეს ხალხთან გაცხადებისა, ღვთის ნებით იოანე ნათლისმცემელი წავიდა იორდანეს ქვეყნებში—„შეინანეთ, მოახლოვდა ზეციური სასუფეველი“—ამბობდა ის და ქადაგებდა ნათლობას, მონანიებას ცოდვების პატიებისათვის. ხალხმა დაიწყო მასთან მისვლა, აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს და ინათლებოდნენ მდინარე იორდანეში.

როდესაც იესო ქრისტეს შეუსრულდა ოცდაათი წელი, ის წავიდა იოანესთან, რომ მონათლულიყო. იოანე არ თვლიდა თავს ღირსად მოენათლა იესო და უთხრა „მე მიხმს შენ მიერ ნათლისღებაი, და შენ ჩემდა მოჰხვალა? „აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველივე სიმართელე“ (მათე 3.14-15) მიუგო იესომ და იოანემ მონათლა ის.

ნათლობა-ახალ ადამიანად გარდაქმნა

„უკეთუ ვინმე არ იშვას წყლისაგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“—ამბობს მაცხოვარი.

ახალი აღთქმის შვიდი საიდუმლოდან ნათლობას უჭირავს პირველი ადგილი. ნათლობა არის ისეთი ხილული მოქმედება, როდესაც წინაპართა მემკვიდრეობითი ცოდვებით დაბადებული ადამიანი ხელახლა იბადება, განიწმინდება ღვთიური მადლით და გარდაიქმნება ახალ ადამიანად. მაცხოვრის მიერ განმტკიცებულ ამ საიდუმლოს იესო ქრისტეს მოციქულების შემდეგ, ახდენს წმინდა ეკლესია.

წლებია „ახალი სული და ახალი გული“ ეძლევა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მიერ საქართველოს ათასობით მართლმადიდებელი ოჯახების მესამე და მეოთხე შვილს.

სულიწმინდის ნიჭი მიიღო და პატრიარქის მიერ მონათლულია ათეულობით თერჯოლელი.

ჟუჟუნა ცხადაძე

პატრიარქის ნათლულები:

ელენე ამაშუკელი, გიორგი ავალიშვილი





მადლობა თქვენ, ქალბატონო მზია!

საახალწლო მილოცვა და კეთილი სურვილები ლექსებად ჩამოუმარცვლავს ზედასიმონეთელ ქალბატონს, მზია აბულაძეს და ისე გამოგვიგზავნა რედაქციაში.

ქალბატონი, რომელიც წლების განმავლობაში საჯარო სამსახურში მუშაობდა, ჩვენი გაზეთის აქტიური მკითხველი და რიგ შემთხვევაში კორესპონდენტიც იყო, ზოგჯერ საკუთარ ლექსებს გვიგზავნიდა, ზოგჯერ კი გაზეთის ფურცლებიდან მკითხველ-საზოგადოებას შეახსენებდა ადრეულ ასაკში გარდაცვლილი მეუღლის, ნუგზარ აბულაძის სახელს.

ლექსები დიდი მოცულობისაა და მათში გულწრფელად არის გადმოცემული ავტორის დამოკიდებულება, სიყვარული და პატივისცემა ყველას და ყველაფრის მიმართ. იგი უამრავ კეთილ სურვილს უძღვნის და ლოცავს სრულიად სამყაროს, მისი შემოქმედიდან დაწყებული თითოეული ადამიანით დამთავრებული.

ქალბატონი მზია ლექსად ნათქვამ სადღეგრძელოში განადიდებს უფალს, მარად ჩვენზე მლოცველ მარიამ ღვთისმშობელს, წმინდათაწმიდა სალოცავებს; ლოცავს სამშობლოს, მშვიდობას, ჯანმრთელობას უსურვებს საქართველოს პატრიარქს... მისი სადღეგრძელო ეკუთვნის ასევე ქალებს, დედებს, მეუღლეს, დას, ძმას, მშობლებს, შვილებს, შვილიშვილებს, მსოფლიო პატარებს, დედმამიშვილებს, ბებიაბაბუებს, სანათესაოს, სამეზობლოს, სამეგობროს, ემიგრანტებს, ხელისუფალთ. თბილად იგონებს და არ ივიწყებს წინაპრებს, სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ და შეწირულ ვაჟკაცებს.

ახალი წელი ლექსით მოგვილოცა და კეთილი სურვილები მოგვიძღვნა, ჩვენც, გაზეთის რედაქციის თითოეულ თანამშრომელს.

მადლობის მეტი აბა რა გვეთქმის მოლოცვისა და კეთილი სურვილებისათვის, ასევე მადლობა მას იმისათვის, რომ მიუხედავად რთული ჯანმრთელობისა, პოულობს თავის თავში ძალას და უნარს შეგვეხმიანოს, მოგვილოცოს სხვადასხვა დღესასწაულები, დაგვლოცოს. არა და თავად ვართ ვალდებულნი მოვიკითხოთ და გავამხნევოთ ქალბატონი, რომელმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა მეუღლის გარეშე სამი შვილის აღზრდასა და მეუღლის ხსოვნას.

ქალბატონი მზია ღმერთის ღრმად მორწმუნე და მოსიყვარულეა, იგი ხშირად სტუმრობდა ტაძრებს, იყო მომლოცველთა და მგალობელთა შორის. ახლა კი ყოველივეს მოკლებულია და ეტლს მიჯაჭვული ლოცვაში ატარებს დღეებს.

ჩვენც გილოცავთ ქალბატონო მზია ახალ წელს, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ!

უფალმა დაგილოცოთ შთამომავალნი და გაიხარეთ მათი ბედნიერებით, თქვენი ყველა ოცნება აგსრულებოდეთ ახალ, 2025 წელს!

მზია ცქიფურიშვილი

საახალწლო ჩურჩხელები ციალა ბებოსაგან

საახალწლო-საშობაო სამზადისი ოჯახში კარგა ხნის დაწყებულია. მთელი წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელი შრომით, საგაზაფხულო სამუშაოებიდან მოყოლებული, შემდეგ შემოდგომით ჭირნახულის დაბინავებით, პირუტყვის თუ ფრინველების გამოზრდითა და მოვლა-პატრონობით იქმნება ყველა პირობა იმისა, რომ საახალწლოდ და საშობაოდ თავისი აქვთ ღვინოც, სიმინდიც, ინდაურიც, ქათამიც, საშობაო ღორიც, სახაჭაპურე ყველიც და ციალა ბებოს დამზადებული ჩურჩხელებიც...

ნაძვის ხე ადრიანად დაიდგა და მორთეს.

მოკრძალებული, თუმცა აუცილებელი, ტრადიციული საახალწლო და საშობაო სამზადისია ახლა ამ ოჯახში, ისე როგორც უმეტეს ოჯახებში, და ყოველივე ამის წინამძღოლია 82 წლის ქალბატონი ციალა სულამანიძე-ძოწენიძისა.

აქვს ოჯახის დედაბოძს, ქალბატონ ციალას დამსახურება იმისა, რომ განაგებდეს ოჯახის საქმიანობას და მის ადათ-წესებს, და იმასაც, რომ გაზეთის მკითხველს გავაცნოთ ერთი რიგითი ქალბატონი, რომელმაც თავდადებული შრომით,

რუდუნებით, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით შექმნა ოჯახი, აღზარდა შვილები, შვილიშვილები და ეს ყოველივე დღემდე ასე გრძელდება...

სიქთარვაში დაიბადა, საშუალო სკოლა დაამთავრა თუ არა დაქორწინდა. ორი შვილი ქალვაჟი შეეძინა. მრავალშვილიანი ოჯახის რძალი გახდა და მას და მის მეუღლეს დუშა ძოწენიძეს, შვილების გაზრდასთან ერთად საკუთარი ოჯახის სახლ-კარის გამართვისათვის დიდი გარჯა და ძალისხმევა დასჭირდათ. მუხლჩაუხრელად შრომობდნენ ორივენი, როგორც საკუთარ საკარმიდამოში, ვენახსა და ყანაში, ასევე მეურნეობაში—ციალა თერჯოლის სანერგე მეურნეობის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო.

დღემდე ნანობს, რომ ორზე მეტი შვილის გაჩენა და გაზრდა ვერ შეძლო, სამაგიეროდ ეს დანაკლისი შვილმა და რძალმა შეავსეს, რომლებმაც ოთხი შვილი, ორი გოგო და 2 ბიჭი გააჩინეს. გაზრდა კი ოთხივე მათგანის ციალა ბებომ იკისრა. მშობლები მუშაობით იყვნენ დაკავებული. პატარებს კი დაბადებიდან ციალა ზრდიდა. შეიძლება ითქვას, თითოეული მათგანის ყველა ასაკმა მის ხელში და მისი მზრუნველობით გაიარა. ციალა ბებო იყო ჩართული სწავლის, გაკვეთილების მომზადების პროცესში, მშობელთა კრებაზე თუ სასკოლო ექსკურსიებზე და ასე შემდეგ. ბებოს რჩევა-დარიგებები ყოველთვის მისაღები იყო და ასეა დღემდე.

ლანამ, უფროსმა შვილიშვილმა სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, ბებიამ იზრუნა საბანკეტოდ მის მომზადებაზე და იმ ეტაპისათვის ყველა საჭიროებებზე. მახსოვს, გოგონას სკოლის დასრულებას ულოცავდნენ ფეისბუკგვერდზე, მან კი თავის მხრივ ეს სასიხარულო და საამაყო ფაქტი ციალა ბებოს მიულოცა და დაწერა: „ციალა ბებია ჩემთვის ყველაფერია“... მარტო ამისათვის ღირდა ალბათ ის შრომა, რომელიც მან ოთხი ბავშვის გაზრდისათვის გასწია, რაც ნამდვილად არ იყო მარტივი.

ლანამ უნივერსიტეტიც წარმატებით დაამთავრა 100%-იანი გრანტით და საქართველოს ბანკში დაიწყო მუშაობა, იქ გაიცნო მომავალი მეუღლე, გურამ ტყაბლაძე და მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა ცოლობაზე, როცა ციალა ბებოს თანხმობა მიიღო. ახლა მათ უკვე 3 თვის ქალიშვილი, მართა ჰყავთ და სიყვარულითა და სიხარულით აგრძელებენ ცხოვრებას, ციალა ბებოს კი უკვე „დიდი ბებოს“ სახელი შესძინა მართას დაბადებამ და დიდი სიხარულიც განაცდევინა.

ახლა ბებო მეორე გოგონას, ანას გაბედნიერებას ელოდება, რომელმაც პროფესიული განათლება მიიღო, დიტომ საჯარო სკოლის კურსი დაასრულა, ნაბოლარა დანიელი კი მხოლოდ მეორეკლასელია. ისინიც თავის გზას უთუოდ იპოვიან ცხოვრებაში, რომ ალალი, პატიოსანი შრომით გააგრძელონ ქართული ოჯახის ტრადიცია და ადათ-წესები.

ქალბატონ ციალას ორი შვილიშვილი, ვაჟები, გათხოვილი ქალიშვილისაგან ჰყავს, ოთხი თავის ვაჟისგან, ასე რომ მისი შვილიშვილები და შვილთაშვილი საახალწლოდ, ბებოს გემრიელ ჩურჩხელებს დააგემოვნებენ და სიყვარულით მიულოცავენ ახალი—2025 წლის შემობრძანებას.

კითხვაზე: „რას ისურვებდით ახალი წლისათვის“, ქალბატონი ციალას პასუხი ასეთია: **„მინდა მოვესწრო შვილიშვილების ბედნიერებას, ყოველთვის მათ გვერდით ვიყავი და იმ ლამაზ დღეებშიც მინდა მათ გვერდით ვიყო...**

სულ შრომაში ვარ ბავშვობიდან, რასაც უფალი შემაძლებინებს კიდევ ვიშრომებ, სოფელში ხომ მუდამ საქმეა და შრომაა, მინდა, ოღონდაც, იყოს მშვიდობა და ყველა სანუკვარი ოცნება აუხდინოს უფალმა ჩვენს ქვეყანას. მინდა ამ ახალ წელს ხალხს, ისე როგორც საკუთარ ოჯახის თითოეულ წევრს ჯანმრთელობა და ბედნიერება ვუსურვო“.

„აუცილებლად გავაცინებ და მოვიგებ“...

წინასაახალწლო ჩანაწერი

გაბრიელ ძოწენიძე ჯერ მხოლოდ 8 წლისაა, ცხოვრობს ქ. თერჯოლაში და №2 საჯარო სკოლის მესამე კლასის მოსწავლეა. კითხვა და მეცადინეობა, როგორც შევატყვე, დიდად არ უყვარს—როგორ სწავლობ-მეთქი,— ვკითხე და მხრები აიჩეჩა, ანუ არ უთქვამს, რომ საუკეთესოდ სწავლობს, სამაგიეროდ ძალიან უყვარს და თავს იწონებს ცეკვით—სასწრაფოდ ტელეფონი ამოიღო და ვიდეოები მაჩვენა, სადაც მშვენივრად წარმოადგენს „აჭარულის“ მისივე ვერსიას უფროსი თაობის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმერეთთან“ ერთად. თავად კი ანსამბლ „საპოვნელას“ წევრია. დიდ ანსამბლთან ერთად მისი გამოყვანა ფესტივალზე შემთხვევით არ მომხდარა. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი გოჩა ჭანკვეტაძე და ქორეოგრაფი გიორგი ჭანკვეტაძე გაბრიელს ქორეოგრაფიაში წარმატებულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ეს არ არის ყველაფერი, რაც „მოცეკვავე“ გაბრიელს იტაცებს და აინტერესებს. მას იუმორისადმი მიდრეკილება გააჩნია და ამ

სფეროში, შეიძლება ითქვას, პატარ-პატარა „მიღწევები“ უკვე აქვს და ეს მთელმა ქვეყანამ იცის.

გაბრიელი 5 წლის იყო, როდესაც მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია რუსთავი-2-ის იუმორისტულ შოუში „გააცინე და მოიგე“. პირველივე მცდელობა პატარა „იუმორისტისათვის“ წარმატებული აღმოჩნდა და მოგებულ 400 ლარს დასჯერდა, რაც ნამდვილად კარგი ფული იყო მისთვის. მეორე მცდელობით კი უკვე მოგება 1000 ლარამდე აიყვანა და აქ შეჩერდა, რამაც კიდევ უფრო დიდი სიხარული მოუტანა მას, მის ოჯახს. სრულიად თერჯოლამ გაიხარა, როცა ცნობილი ტელეკომპანიის ეკრანიდან მათი თანამემამულე 6 წლის გაბრიელი იუმორითა და თავისი ბავშვური ხრიკებით ცდილობდა ჟიურის წევრებში ღიმილი გამოეწვია.

როგორც შევიტყვეთ გაბრიელ ძოწენიძე ახლა, 2025 წლის რუსთავი 2-ის იუმორისტულ გადაცემაში თავად ტელეკომპანიამ დაპატიჟა, საპატიო სტუმრის სტატუსით, რისთვისაც საგულდაგულოდ ემზადება. ამჯერად გაბრიელის მიზანი და სურვილი გაიზარდა და 1500 ლარის მოგებას აპირებს. ვნახოთ „ფორტუნა“ როგორ გაუმართლებს. მინდა გითხრათ, პატარა ასაკის მიუხედავად, გაბედული და თავდაჯერებულია, მოგების იმედი ნამდვილად აქვს.

როგორც ყოველთვის, მას დახმარებას ამჯერადაც ლია ბებია უწევს. ბებია ამაყობს გაბრიელის ყველა წარმატებით და ყველანაირად ხელს უწყობს მისი შესაძლებლობების გამოვლინებას როგორც ცეკვაში, ასევე იუმორში, როგორც მისი ყველაზე დიდი გულშემატკივარი და თავადაც იუმორის გრძნობით გამორჩეული ქალბატონი. ამბობენ, რომ გაბრიელში იუმორის სიყვარული სწორედ ბებიის გენებიდან მოდის...

ვფიქრობ, საინტერესო ბიჭი გაგაცანით— 8 წლის გაბრიელი, საუკეთესო მოცეკვავე და იუმორისტი, მაშ ასე, თვალი მივადევნოთ მას, ამ დღეებში იხილავთ ტელეეკრანზე. წარმატებები ვუსურვოთ.

მრავალი ბედნიერი ახალი წელი გაუთენდეს გაბრიელს და სრულიად საქართველოს ახალგაზრდებს, დიდსა თუ პატარას!

გვერდის ავტორი
მზია ცქიფურიშვილი

ნომინაციაში გამარჯვებულის სურვილები სადღეგრძელოდ

„თერჯოლობის“ სახალხო ზეიმზე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული და ძირძველი დარგის, მევენახეობა-მეღვინეობის მარადიულობის აღმნიშვნელი, საუკეთესოთა შორის საუკეთესო ღვინოების გამოფენა-დათვალიერება, ყოველთვის იქნება აქტუალური თემა.

გასულ წელს, ისე როგორც ადრე, ათეულობით მევენახეს ჰქონდა წარმოდგენილი სხვადასხვა სახის ღვინო, ჭურში, კასრებში, ბოცებში, ბოთლებში, მაცივრებში დაყენებულ-შენახული. ღვინის მცნობელი ხალხი ამბობდა, რომ ყველა იყო კარგი, გემრიელი და არომატიანი, სომელიებსაც კი გაუჭირდათ გამარჯვებულის გამოვლენა, მაგრამ საბოლოოდ ნომინაციაში ექვსმა გაიმარჯვა. ერთ-ერთი მათგანი ბარდუბნელი ვასო ვერულაშვილია შერეული ღვინით.

სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა ბატონი ვასო. გაცნობისთანავე „ავი“ სიტყვა ვუთხარი—შემოგვაპარე ხომ „შვლაპი“ და გაგიჟდა კაცი, მაგრამ უმალ მიხვდა ხუმრობას და მითხრა—არცერთ წელს ღვინის ფესტივალზე არ მიმიღია მონაწილეობა, თუმცა ყოველთვის კარგ ღვინოს ვაყენებდი, ნატურალურს, ტექნოლოგიური პროცესების სრული დაცვით.

500 ძირი სრულმსხმოიარე ვენახი აქვს ვასოს, თავისი ხელით გაშენებული ციცქა-ცოლიკაური და ტალავერიც. ვენახი კარგი მოვლილი აქვს, აგროწესების სრული დაცვით ამუშავებს მიწას და ატარებს ვაზის ყველა ოპერაციას. ელოლიავება არა მარტო იმიტომ, რომ ერთგვარი შემოსავლის წყაროა 2 ტონა და ზოგჯერ მეტი საუკეთესო ხარისხის ყურძენი, არამედ იმიტომ, რომ უყვარს ეს ტრადიციული დარგი. „ ღვინით ილოცება ყოველი დღე, ყოველი საქმე, ყოველი დაბადებული, ახალდაქორწინებულები, სტუმარი თუ მასპინძელი, ბოლო გზაზედაც ჭიქა ღვინით ვაცილებთ, ერთმანეთსო“ თქვა.

მცირე ოდენობის ყურძენს ჰყიდის ვასო, ბევრს წურავს, აყენებს ჭურებში, მერე გადააქვს გამოსანთლულ თუ უჟანგავ ჭურჭელში, ბოცებსა და ბოთლებში და ისე აქვს შენახული, რომ ცვალებადმა ტემპერატურამ ღვინის ხარისხზე არ იმოქმედოს.

მარტო მევენახეობას არ მისდევს ვასო, მოჰყავს სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ხვავი და ბარაქა არ აკლია და არც სტუმარი. დანამდვილებით არ უთქვამს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს —კვლავ გაშენდება ამ ოჯახში ახალი ვენახი და ისევ ციცქა-ცოლიკაური, შესაძლოა ოცხანურიც... ღვინის ნომინაციაში გამარჯვება ვასოსთვის არის ერთგვარი სტიმული და როგორც თვითონ თქვა—ამ გამარჯვებამ და სამახსოვრო საჩუქარმა გაახარა, ხალისი შემატა მის ყოველდღიურობას.

უყვართ სოფელში ვასო ვერულაშვილი, მისი პატიოსანი, მშრომელი და სტუმართმოყვარე ოჯახი, სადაც ორი შვილი აღიზარდა და შვილიშვილები.

ჩვენი თხოვნით, ბატონმა ვასომ საახალწლო სურვილები ასე ჩამოაყალიბა: „მინდა ვისურვო მშვიდობა, სიკეთე, ხვავი და ბარაქა ჰქონდეს ყველა ოჯახს რაიონში და ქვეყანაზე. ჯანმრთელობა, ქორწილ-ქეიფი, შვილთა სიმრავლე. ბუხრებიდან კვამლის ამოსვლა, კერიის არგაცივება და სახლების არგამოკეტვა, ქვეყნიდან წასული თანამემამულეების ოჯახში დაბრუნება, ჩვენი ძირძველი ტრადიციების, წეს-ჩვეულების შენარჩუნება, მათი დაცვა და გაფრთხილება მინდა... და თუ აქ დაირწა მევენახეობა-მეღვინეობის აკვანი, მაშინ გვიყვარდეს ვაზი, შვილივით ნაზარდს რომ ვუწოდებთ, კი არ გავჩეხოთ, გავაშენოთ ვენახი დალოცვილ თერჯოლაში და საქართველოს ყველა კუთხეში, რადგან იგი ყველგან ხარობს, გავაშენოთ, რათა ჩვენც გავიხაროთ.

ფეხბედნიერი იყოს 2025 წელი“.

თქვენთვისაც ბედნიერი იყოს წლევანდელი და მომავალი წლები, ბატონო ვასო.

სურვილები ვთხოვეთ და მშვენიერი სადღეგრძელო გამოვიდა, თან ბევრის მთქმელი...

თაობების ერთი საქმე—საჭირო და ძირძველი

მერვე თაობაა გოჩა გაბრიჭიძე, რომელიც ჯერ არ ცვლის მამას—მიხეილ (მიშა) გაბრიჭიძეს, რადგან გოგნის მკვიდრი ბატონი მიშა, მიუხედავად იმისა, რომ 87 წლისაა, მხნედ, ვაჟკაცურად არის, კვლავ მისდევს ძირძველ ხელობას—მჭედლობას და აგრძელებს წინაპრების: მანაველის, პლატონის, რევაზის, ბეჟანის, ალფეზის საქმეს. ისინი გამორჩეული მჭედლები და ხარ-ცხენის მჭედავები ყოფილან, გამორჩეულია მიხეილიც.

გოგნი მთიანი სოფელია. მოსახლეობის უმეტესობას პატარ-პატარა, ფერდობიანი მიწის ნაკვეთები ჰქონდათ და აქვთ, სახნავ-სათესი ტრაქტორი ძნელად, ან არ უდგება, ამიტომ თითქმის მეორე ოჯახს ხარი ან ცხენი ჰყავდა. ჰქონდათ გუთანი—მიწის სახნავი, საკვეთი, ფრთა. გოგნელები ხარს და ცხენს ხშირად ჭედავდნენ, სამჭედლოც ბევრს ჰქონდა, მათ შორის მიხეილს და მის წინაპრებს.

მჭედლობა და ჭედვა განუყოფელია ერთმანეთისაგან, გაბრიჭიძეების ეს ოჯახი ორივეს მისდევდა. საინტერესოა მჭედლობის და ხარ-ცხენის ჭედვის პროცესი, რაც გოგნში ყოფნისას რამდენჯერმე მინახავს. ხარის ჭედვისას აუცილებლად გაგახსენდება შოთა ნიშნიანიძის მშვენიერი ლექსი „ხარი“—„წამოგაქციეთ ნაჯაფი და ყელი გამოგაღადრეთ“ და გიხარია, რომ ხარის ჭედვა არ არის „ყელის გამოღადვრა“.

გვითხრეს, რომ მჭედელი თვითონ გრძნობს რკინის დარბილებას. 1 ცალი ხარის დასაჭედი ლურსმნის დამზადებას ჩაქუჩის 50-60, ნალის დამზადებას კი 100 დარტყმა სჭირდება. ორივე შრომატევადია, დამღლელი. მიხეილის სამჭედლოში არის ქურა, საბერველი, გრდემლი, ურო, ჩაქუჩი, რკინის, ფოლადის ნაჭრები, ნახშირი და ნაკვერჩხლდება იგი, ღღვება ლითონი, მზადდება ნალი, ნალის ლურსმანი, იპირება და ილესება თოხი, ბარი, წალდი, ნაჯახი, ნამგალი, ცელი, „ვიღლები, მაგრამ კმაყოფილი ვარ, ვამარაგებ მოსახლეობას, მაქვს შეკვეთები და გარკვეული შემოსავალიც,“—ამბობს მიხეილი. დაღლილი და კმაყოფილი ოჯახის უფროსი ფიქრობს ხვალინდელ დღეზე, ოჯახზე, სოფელზე, თავისებურად ქვეყანაზედაც. მიხეილს ჰყავს საქმის გამგრძელებელი შვილი გოჩა, მაგრამ ვინ იქნება გოჩას შემდგომი, ამაზეც უწევს ზრუნვა.

მიხეილი ახლა იშვიათად ჭედავს ხარებს, მაგრამ აქვს ამ საქმისათვის განკუთვნილი ხელსაწყოები, უძველესი, მაგრამ მოვლილი ფლოქსათალი, თუ დაჭირდება ვინმეს ათხოვებს და თან გაატანს უღელი ხარის დასაჭედ 64 ლურსმანს და 16 ნალს.

უყვართ სოფელში ეს კარგი ოჯახი. დოვლათით სავსე და სტუმართმოყვარე. მეზობლები ზამთარ-ზაფხულ ქურასთან

ხშირად იკრიბებიან, ჰყვებიან ძველ და ახალ ამბებს, ათას ჭორ-მართალს და ეფერებიან ერთმანეთს, ზამთარში ხელს ითბობენ ნაკვერჩხლებადქცეულ, ოქროსფრად გამხდარ ნახშირზე და ნასვამ-წახემსებულები „აცდენენ“ ბატონ მიშას. გვიან იშლებიან.

მიხეილ და გოჩა გაბრიჭიძეების ოჯახში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა სოფელში დავით რობაქიძემ და სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ვერა ქოჩიაშვილმა მიმიყვანეს. სწორი აღმოჩნდნენ ჩემი მასპინძელ-მეგზურები, ამ ოჯახს რომ აქებდნენ, დავაყარე კითხვები მამა-შვილს და ამასობაში მიხეილის მეუღლემ ქალბატონმა ზინამ სახელდახელოდ გამოცხობილი უგემრიელესი ხაჭაპურები გამოიტანა, გოჩამ კი რჩეული ღვინო. „დადგი ბარემ მაგიდაო“—მისცა დავალება დათოს, დათომ დაბნეულმა მიმოიხედა, მაგრამ მალე მიხვდა და „ფორთოჩკა“ ჩამოხსნა, ქურასთან დადგა და შესვეს—სიცოცხლის, იმედის, მომავლის, გოგნელების, საქართველოს სადღეგრძელო, დალოცეს ოჯახი, მიშა და ზინა, მათი შვილები: გელა, გოჩა, ლელა და შთამომავალნი, ისიც თქვეს ზინას და მიშას ორი წლის წინ დაუწერიათ ჯვარი, ქორწილიც ჰქონიათ...

წისქვილი—ფიქრის ადგილი

გოგნში, მდინარე ქვერუნაზე გადამდგარი ერთ ან ორთვლიანი წისქვილი, არ იყო იშვიათობა. რამდენიმე წისქვილი იყო გამართული. დღეს ერთი მუშაობს, რომელსაც და სხვა დანარჩენსაც, შეკეთება სჭირდება. მერის წარმომადგენლობა სოფელში და წისქვილის მეპატრონეები ფიქრობენ მათ აღდგენას.

ახლა წისქვილში ღამეს აღარავინ ათევს, ძველად კი თურმე მშვენიერ დროს ატარებდნენ. ხანდაზმულნი ამბობენ, რომ წისქვილებში ზოგი ზურგზე მოკიდებული ან იღლიაში ამოჩრილი პატარა, ზოგი სავსე ტომრებით, ურმით თუ ცხენით მოდიოდა და მოჰქონდა ბროლივით სიმინდი. წისქვილში ხვდებოდათ სამფეხა მაგიდა, ჯორკოები, პატარა, წელ-წყვეტილა ჭიქები, საუკეთესო ღვინო, ყველი, მჭადი, მწვანილი, მწნილი, ზამთარში შუა ცეცხლი. ყველას მოჰქონდა რამე წასახემსებელი და ეს ყველაფერი სასიამოვნო განწყობას ქმნიდა.

როდის აშენდა პირველი წისქვილი გოგნში, უცნობია. დღეს მოქმედ წისქვილში სულიკო რობაქიძე მუშაობს, მისი უახლოესი წინაპრები: ალექსანდრე და იონაც აქ მუშაობდნენ, სოფლის მოსახლეობას ემსახურებოდნენ.

როგორც სულიკო ამბობს, სოფელში ძველებურად აღარაფერია. მთიანი სოფელი ცხადია ისევ მთიანია, მაგრამ ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა—გზები, ხიდ-ბოგირები, აქვთ გაზი, უწვეტობაა ელექტროენერგიით მიწოდებაში. მოქმედებს სოციალური პროგრამები, მატერიალურადაც უკეთესად ცხოვრობენ, ბევრს აქვს მინი ტრაქტორი, რითაც მიწას ამუშავებენ, მაგრამ ასაკოვან ადამიანებს მაინც აქვთ მონატრება ხარ-ურმის, ცხენის, მათი ჭედვის, მჭედლობის გაფართოებისა. სოფელში გაძნელდა საქმის გამგრძელებლების პოვნა. ასეა ყველა, ასეა ჩემს ოჯახშიც...

სულიკოს სამი შვილი ჰყავს—ორი ბიჭი, ერთი გოგო და შვილიშვილები. ჰყავს მეუღლე და ჯერჯერობით ორივეს, არა ძველებურად, მაგრამ მაინც შეუძლიათ შრომა, უვლიან მსხვილფეხს, უთვალავ ქათამ-ინდაურს, მოჰყავთ სიმინდი, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

დიახ, როგორც სულიკო ამბობს, ძლიერია დღეს გოგნი, ხალხს აღარ უჭირს, დოვლათ-ბარაქაა ოჯახებში, „უფრო უკეთ ვიქნებით თუ დაბრუნდებიან სოფლიდან წასული ადამიანები, აღარაფერია ძველებურად და არც გვინდა იყოს, მაგრამ უხდება ამ ისტორიულ სოფელს ზოგიერთი ძველი ტრადიციის აღდგენა თუ შენარჩუნება“...

მოედინება სოფელში მდ. ძევრულის მარცხენა შენაკადი „უხსოური“ დროიდან, იტევდა და აბრუნებდა მდ. ქვერუნა წისქვილის ქვებს. მუშაობს წლებია სულიკო რობაქიძე წისქვილში, ხან დილიდან-საღამომდე, ხანდახან ღამეც, ხანაც სულ არ აქვს საქმე—საფქვავი დღეს არავის მოუტანია—ამბობს დანანებით და არა იმიტომ, შემოსავალს ელოდება, არამედ იმიტომ, რომ უყვარს საქმე, რომელსაც აკეთებს.

და მაინც ხშირად ბრუნავს წისქვილის ქვა, ქვეშ იყოლებს სიმინდის მარცვალს, სასიამოვნო სუნი დგას ირგვლივ, ჭადის ფქვილის სუნი, მეწისქვილე ხან იღებს მინდს—დაფქვის გასამრჯელოს, ხან არა.

მშვიდობა, სიკეთე, შვილიშვილთა და მათ შვილთა სიმრავლე, ხანგრძლივი სიცოცხლე ოჯახის წევრებს!

გვერდის ავტორი
ჟუჟუნა ცხადაძე

„სოფიანა“ ანუ საუკეთესო ...

დიდი ხანი არ არის, რაც თერჯოლის ცენტრში ინოვაციური სივრცე, მრავალფუნქციური, უნივერსალური ესთეტიკური ცენტრი „სოფიანა“ გაიხსნა, თუმცა მან უკვე მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება. ცენტრს, რომელიც აღჭურვილია სათანადო თანამედროვე აპარატურით, აქვს შესაძლებლობა მომხმარებელს გაუწიოს ყველა თანამედროვე ტიპის მომსახურება, როგორც ჯანმრთელობის, ასევე სილამაზის შენარჩუნება-აღდგენისა და მისი კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის. მოკლე დროში ცენტრის სახელი გასცდა თერჯოლას... ამასწინათ ტელეკომპანია თრიალეთის გადაცემაში „ჩვენი დროის წარმატებული ქალბატონები“ მიწვეულ მის დამფუძნებელს საახალწლოდ ნამდვილად კარგი განწყობა შეუქმნეს. ცენტრი „სოფიანა“ ნომინაციაში „წლის საუკეთესო კომპანიად“ დასახელდა. სოფიო ბანძელაძე კი საუკეთესო კოსმეტოლოგად აღიარეს და სათანადო ჯილდოც გადასცეს.

ასე ლამაზად და ფეხბედნიერად დაიწყო ახალი წელი „სოფიანაში“. მანამდე კი წინასაახალწლო დღეებში ჩვენს თანამოქალაქეებს როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ მათთვის სასურველი მომსახურება და გაჯანსაღებულ-გალამაზებული შეხვედროდნენ 2025 წელს.

ვფიქრობთ, საინტერესოა ვინ არის ცენტრის დამფუძნებელი და როგორ შეძლო მან ისეთი ინოვაციური ცენტრის შექმნა თერჯოლაში, რომლის მსგავსი ჯერ დასავლეთ საქართველოს არც ერთ ქალაქში არ არის.

დაიბადა ქუთაისში, დაამთავრა №8 საჯარო სკოლა 2000 წელს, ხოლო 2002 წელს საბუნებისმეტყველო ლიცეუმი. 2008 წელს დაამთავრა აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი. 2009 წელს დაქორწინდა თერჯოლელ როლანდ რობაქიძეზე, ასე გახდა სოფიო ბანძელაძე თერჯოლელი.

„ძალიან შემიყვარდა ჩვენი კოხტა და ლამაზი თერჯოლა—ამბობს სოფიო ჩვენთან საუბარში. აქ თბილი, თავმოყვარე და სტუმართმოყვარე საზოგადოება ცხოვრობს, სულაც არ გამიჭირდა ქუთაისთან დაშორება და აქ ცხოვრება. უკვე 15 წელია აქ ვარ.

ჩემი წარმატების მთავარი ძალა ჩემი ოჯახი გახლავთ. 15 წელია გვერდით მიდგას მეუღლე როლანდ რობაქიძე, რომ არა მისი ერთგულება და მხარდაჭერა, მე დღეს ვერაფერს მივაღწევდი. გვყავს სამი შვილი თეკლა, ცოტნე და ზურაბ რობაქიძეები. ბუნებრივია, მათზე ზრუნვა ჩვენი უპირველესი მოვალეობაა...

როგორც იტყვიან, დღე და ღამე ვშრომობდით, რომ ამ მიზნამდე მიგვეღწია. სწორედ ოჯახის გვერდით დგომით შევძელი შეუძლებელი“.

ვიდრე ცენტრის პერსონალისა და საქმიანობის შესახებ გეტყოდეთ, მინდა იცოდეთ ზოგი რამ ჩემი წარსულიდან.

ახლახანს 40 წელი შემისრულდა, მადლობას ვწირავ ღმერთს ყოველი დღისათვის. 40 წელი არც ისე პატარა ასაკია გავაანალიზოთ წარსული თუ ახლანდელი ცხოვრება და გავაკეთოთ დასკვნები.

ყველაფერს აქვს თავისი დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მე რომ ასეთი შემართებით ვებრძვი ცხოვრებას და მინდა წინ წავიდე, ალბათ ცხოვრების ის გამოწვევაა, როცა მტკივნეულად იხსენებ მწარე ბავშვობას.

8 წლის უკვე ობოლი ვიყავი და დედამ სამი მცირეწლოვანი შვილი მარტომ გაგვზარდა ნაქირავებ ბინაში. დედაც პატარა იყო, ქვრივად დარჩენილი 3 პატარა ბავშვით. მე 8 წლის, ჩემი და ფიქრია 7-ის, ხოლო ანა 3 თვის.

მამა 1992 წლის არეულ პერიოდს ემსხვერპლა—მხედრიონის არეულობას. ფილმ „მაგდანას ლურჯაში“ რომ სოფოა, მას ვადრი ჩემს თავს. პატარაობიდან ოჯახის ფერხულში ვარ და ყოველთვის ვცდილობდი დედას დავხმარებოდი, მისი გული გამეხარებინა, დედისა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება შვილების აღზრდას და მეუღლის ხსოვნას მიუძღვნა.

დედა დღემდე მუშაობს, ის კოსმეტოლოგია და ქუთაისში სილამაზის სალონ „სესილიშია“ დასაქმებული.

ვფიქრობ, რომ მე დღეს მოვახერხე მისი გახარება, როცა შევძელი ცენტრის დაარსება. სახელწოდება „სოფიანა“ ჩემი და ჩემი დების სახელების ინიციალებისაგან შედგება—სოფიო, ფიქრია, ანა. ფიქრია ემიგრანტია ჯანმრთელობის გამო, ხოლო ანა ჩვენი ცენტრის ლაზეროთერაპევტია“.

სოფიოს კარგი ფინანსური დახმარება გაუწია 2020 წელს პროექტში „აწარმოე საქართველოში“ გამარჯვებამ, წამოეწყო იდეაში ჩაფიქრებული ასეთი მრავალფუნქციური სივრცის მოწყობა. მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით კი შეძლო საბოლოო შედეგამდე მიეყვანა დაწყებული საქმე.

ახლა მომხმარებლებს თანამედროვე სტანდარტებით და ტექაღჭურვილობით სასურველ გარემოში 16 სხვადასხვა სპეციალობის მაღალკვალიფიცირებული მუშაკები ემსახურებიან. აქედან ექვსი თმის სპეციალისტი: შორენა გაფრინდაშვილი, მარიამ კაპანაძე, ქრისტინე უკლება, ნინო ფოფხაძე, ნატალია ოქრუაძე, ნათია მუჯირი; სამი ფრჩხილების სპეციალისტი: სოფო მარგიანი, თეა გვენცაძე, თამთა გურგენიძე; ლაზეროთერაპევტი: ანა ბანძელაძე; ვიზაჟისტი: მარიამ დვალიშვილი; პიარ-მენეჯერი და წამწამების სპეციალისტი თიკა კეზევაძე; კოსმეტოლოგი სოფიო ბანძელაძე და მასაჟის ორი სპეციალისტი: თათია ბაღდავაძე და ლევან მაკარიძე; სპორტსმენი ლერი ჯიხვაშვილი.

სოფიო ამაყობს ამ ადამიანებით, რომლებსაც ძალიან უყვართ თავიანთი საქმე, არიან პროფესიაზე ორიენტირებულნი და იმაზე, რომ მიიღონ მაქსიმალური დადებითი შედეგი ესთეტიკისა თუ სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცედურებიდან.

„დიდია სურვილი, ამბობს სოფიო, მოკლე დროში გამოვავლინოთ ჩვენი შესაძლებლობები. კიდევ ბევრი კარგი ჩანაფიქრიც მაქვს და მჯერა ბოლომდე მივიყვანთ კარგად დაწყებულ საქმეს...

დრო სწრაფად მიჰქრის და არ მინდა მისი ფუჭად დაკარგვა, „სოფიანელები“ ვართ საქმეზე და წარმატებებზე ორიენტირებულნი. სამსახური ჩვენი მეორე ოჯახია, შეიძლება ითქვას საოცარი გუნდი შევიკრიბეთ—აქ ერთმანეთის ტკივილი და სიხარული საზიაროა“...

და ბოლოს... ცენტრ „სოფიანას“ დამფუძნებელი და წინამძღოლი მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდით დაუდგა და დიდი თუ პატარა დახმარება გაუწია, ასევე მადლობას უხდის ყველას, ვინც თუნდაც ერთხელ ესტუმრა ცენტრს და მისი მომსახურებით ისარგებლა.

„ახალ წელს გილოცავთ ყველას, თერჯოლას და თერჯოლელებს, თქვენს გაზეთს, ვულოცავთ აგრეთვე სრულიად საქართველოს. ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, მშვიდობა, ხვავი და ბარაქა მოეტანოს 2025-ს თითოეულის ოჯახში.

თქვენს ჯანმრთელობასა და სილამაზეზე მზრუნველი „სოფიანელები“ მუდამ თქვენს გვერდით გვიგულეთ, მეგობრებო.

კიდევ ერთხელ გიგზავნით სიყვარულსა და პატივისცემას“...

მზია ცქიფურიშვილი

მის საქმეს გამგრძელებელი უნდა

მუსიკა—მუზების ხელოვნება.

მეცნიერთა აზრით, იგი შეიძლება წარმოშობილიყო აღელვებული მეტყველების ინტონაციის საფუძველზე, ნადირ-ფრინველთა სასიყვარულო ძახილისაგან, პირველყოფილი ადამიანის შრომის რიტმისგან, მაგიური შელოცვების რიტუალისგან...

საიდანაც უნდა იყოს წარმოშობილი, მუსიკა არის მშვენიერება და არსებობს მუსიკალური საკრავების ათეულობით სახეობა—მუსიკალური, ხალხური და პროფესიული მუსიკალური საკრავები.

ჩხარელი თამაზ ფანჩულიძე მუსიკოსია. დამთავრებული აქვს ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ტყიბულის, ზესტაფონის, თერჯოლის სამუსიკო სკოლებში და მოსწავლეებს სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრას ასწავლიდა. ოცდახუთი წელიწადია სიმღერის ანსამბლ „იმერეთის“ წევრია. 1990 წლიდან მუსიკალურ საკრავებს ამზადებს და სულს და გულს დებს საქმეში. კითხვაზე—სად შეისწავლა ან ვინ იყო მისი მასწავლებელი, ვინ აზიარა ხელოვნების ამ საინტერესო დარგს, ამბობს, რომ მასწავლებელი არ ჰყოლია. მუშაობის პერიოდში, როცა რომელიმე მოსწავლეს ინსტრუმენტი დაუზიანდებოდა, ცდილობდა მათ შეკეთებას, მერე შეუყვარდა რემონტ-შეკეთების პროცესები და დაიწყო მათი დამზადება. შეხვდა თბილისში მომუშავე ოსტატებს, დადიოდა სახელოსნოებში, იღებდა მათ რჩევა-დარიგებას და პირველი ინსტრუმენტი რომ დაამზადა, სტიმული მიეცა. ახლა თამაზი ისეა დახელოვნებული, რომ მის მიერ დამზადებულ გიტარას, ფანდურს, ჩონგურს, ბანი ჩონგურს, დაბალ ბანი ფანდურს, ხალხურ კონტრაბასს სვანურ ხალხურ ჭუნირს, ჩანგს, სალამურს, როგორც გვითხრა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ნახავთ. ე.ი. ყველა კონტინენტზე?—ვკითხე და ეს იყო გაოცება, გაკვირვება, დაუჯერებლობა და მიხვდა რისი თქმაც მინდოდა და დამასწრო—ანტარქტიდის გარდაო და გაგვიგრძელდა საუბარი. დიახ, დაუჯერებელია, მაგრამ ეს სასიამოვნო ფაქტი ნამდვილია.

ცხადია ვკითხე შეკვეთებზე. თამაზმა მითხრა, რომ ჯერჯერობით შეკვეთების მიღება შეჩერებული აქვს, ვერ ასწრებს დამზადებას, წელიწადნახევრიანი რიგი უდგას, ერთი ინსტრუმენტის დამზადებას თვეზე მეტი სჭირდება და თარიღს ვერ ეუბნება კლიენტს, ტყუილის თქმა კი არ სჩვევია.

წლების წინ ჰყავდა მოსწავლეები. მათი განსაკუთრებული დაინტერესება იმითიც იყო გამოწვეული, რომ 2014 წელს ევროკავშირის გრანტი მოიპოვა, გააფართოვა წარმოება, სახელოსნო სახლში აქვს მოწყობილი და ამ სახელოსნოში 200-ზე მეტი სხვადასხვა სახის იარაღი აწყვია. სხვადასხვა ზომის სალაშინები, ხერხები, საჭრისები... ვინ დათვლის, რა და რამდენია...

წუხს, რომ ახალგაზრდობა არ ინტერესდება, მისი სურვილია ვინმეს შეასწავლოს ეს შრომატევადი, საინტერესო, რთული, მაგრამ საჭირო და საპატიო საქმე.

თამაზს ერთი შვილი ჰყავს, ამჟამად თბილისშია. ვნახოთ რა იქნება, მისი საქმე უნდა გაგრძელდეს, მაგრამ როგორ!

შენი სურვილები აუცილებლად ასრულებულიყოს, დიდებულო ოსტატო!

ჟუჟუნა ცხადაძე

ჭადრაკის მწვრთნელთა ეროვნული ფორუმის თერჯოლელი მონაწილე

გასულ თვეში, ქ. ბათუმში საქართველოში პირველად გაიმართა ჭადრაკის მწვრთნელთა პირველი ეროვნული ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონის, ყველა მუნიციპალიტეტის 130 წამყვანი მწვრთნელი, მათ შორის მიწვეული იყო თერჯოლის სპორტსკოლის მწვრთნელ-მასწავლებელი მერი ჩაფიჩაძე.

ფორუმი გაიმართა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის აკაკი იაშვილის თაოსნობით. შერჩეული იქნა მსოფლიოში ჭადრაკის ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდიკა—„საფეხურები“, რომელიც შედგება მასწავლებლის სახელმძღვანელოსა და მოსწავლის 26 რვეულისაგან.

ღონისძიების მენტორები იყვნენ: ფიდეს ტრენერი ნატო ეძგვერაძე, „ნიჭიერთა სკოლის“ წამყვანი მწვრთნელი ხვიჩა ბახტაძე და სპორტის ფსიქოლოგი, მენტალური უნარების ტრენერი საბა ეფრემიძე.

მერი ჩაფიჩაძე ფორუმიდან საინტერესო შთაბეჭდილებებით დაბრუნდა, მიაჩნია, რომ ახლადმიღებული სწავლება-ტრენინგი დაეხმარება მას ნორჩ „მოჭადრაკეებთან“ მუშაობაში და მადლიერებას გამოხატავს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის აკაკი იაშვილის მისამართით, რომელიც ხელს უწყობს ქართული ჭადრაკის განვითარებას და მწვრთნელებს უქმნის საუკეთესო გარემოს, რაც სამომავლო წარმატებების საწინდარია.

ბავშვობიდან ჭადრაკის დაფასთან

შეიძლება ითქვას, მერი და მისი ძმა ალექსანდრე ჭადრაკის დაფასთან გაიზარდნენ. მერი ექვსი წლის იყო, ალექ-

სანდრე კი მასზე უმცროსი, როცა ჭადრაკის შესწავლით დაინტერესდნენ და დედამ 1984 წელს ორივე თერჯოლის პიონერთა სახლში ჭადრაკის შემსწავლელთა კლუბში მიიყვანა, სადაც ქუთაისიდან მოწვეული პედაგოგი ნუგზარ ჭანტურიძე ასწავლიდათ. ჭადრაკის შესწავლაში, მასწავლებელთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის მშობლებს, განსაკუთრებით დედას, რომელმაც ბავშვებთან ერთად თავადაც ისწავლა ჭადრაკის თამაში.

საქართველოში ჭადრაკი, განსაკუთრებით ქალთა ჭადრაკი ყოველთვის პო-

პულარობით სარგებლობდა. ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანის სახელები ამ დროს უკვე არა მხოლოდ საქართველოში და საბჭოთა კავშირში, მსოფლიოშიც კარგად იყო ცნობილი.

1986 წელს თერჯოლაში ძალზე მნიშვნელოვანი იყო ჭადრაკის კლუბის: „გამსვლელი პაიკის“ გახსნა, რომლის ფართომასშტაბიან ღონისძიებაზე მოწვეული იყო ლეგენდარული მოჭადრაკე ნანა იოსელიანი.

კლუბის პირველი „მერცხლები“ იყვნენ: მერი და ალექსანდრე ჩაფიჩაძეები, მალხაზ სეფისკვერაძე, ჯულიეტა ქოჩიაშვილი, ანტონ და სულხან კლდიაშვილები, ზაზა ცინცაძე, რატი მემანიშვილი, მანუჩარ და ჯუნა ცხელიშვილები, მალხაზ გეწაძე, სოსო ობოლაძე, ეკატერინე კირკიტაძე, დავით და თეა კერესელიძეები, ლაშა გოგიაშვილი (ტრაგიკულად დაღუპული თერჯოლის მერი). ამ დროს მათი მწვრთნელი იყო სპორტული სკოლის პედაგოგი ემზარ ჭუმბურიძე.

ჩვენი რაიონის მოჭადრაკეები გამოდიოდნენ და დღესაც წარმატებით ასპარეზობენ საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა გუნდურ და პირად ტურნირებში, როგორიცაა: საქართველოს ჩემპიონატი, იმერეთის ღია ტურნირები, ბათუმის საერთაშორისო ტურნირი, ქობულეთის, ჩოხატაურის, ტყიბულის თეთრი ეტლის პრიზი და საერთაშორისო ტურნირი, რაჭის, ვანის, წყალტუბოს, სამტრედიის, ფოთის საერთაშორისო, ზესტაფონის და სხვადასხვა რაიონის და ქალაქების ტურნირები.

მერი ჩაფიჩაძე ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როცა 1994 წელს რაიონის სპორტულ სკოლაში პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა და ჭადრაკით დაინტერესებულ ბავშვებს წარმატებით და დიდი სიყვარულით ასწავლის დღემდე, პარალელურად მუშაობს შპს კერძო სკოლა „მზეკაბანი 2007“-ის ჭადრაკის წრის ხელმძღვანელად.

მერი ეროვნული ოსტატობის კანდიდატია ჭადრაკში. ჰყავს არაერთი თანრიგოსანი, საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირების ჩემპიონები და პრიზიორი მოსწავლეები. ესენი არიან: გეგა გაბრიჭიძე, ლანა სოფრომაძე, გიორგი ბუცხრიკიძე, ნიკოლოზ აბულაძე, გაბრიელ გიორგაძე, მართა და მათე კუტალაძეები, ბარბარე მაკარიძე, ლევან კირკიტაძე, მარიამ და ანა მაღლაკელიძეები, დავით რობაქიძე, დავით ნიკოლაძე.

სალომე გეწაძე, ლიზი დვალი, გიორგი და მარიამ ჯანგიანები, ლუკა გუგულაშვილი, გიორგი კორკოტაძე, ლევან ფორჩხიძე, ნიკოლოზ ცქიფურიშვილი—ეს ახალგაზრდები კი უახლოესი წარსულის წარმატებული თერჯოლელი მოჭადრაკეები, დღეს უკვე სტუდენტები არიან.

თერჯოლაში ჭადრაკი პოპულარულია, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სპორტსკოლაში ჭადრაკის წრეში, რომელსაც მერი ჩაფიჩაძე ხელმძღვანელობს საწვრთნელ მეცადინეობას სხვადასხვა ჯგუფში 75 მოსწავლე გადის. მოსწავლეები მოდიან არა მხოლოდ ქ. თერჯოლის №1 და №2 საჯარო სკოლებიდან და „მზეკაბანი 2007“-დან, აგრეთვე ღვანკითის, რუფოთის, ჩხარის №1 და №2, თუზისა და გოგნის საჯარო სკოლებიდანაც კი. მერი მასწავლებელს აქვს მოლოდინი, რომ ჭადრაკით დაინტერესებული თითოეული მისი მოსწავლე წარმატებით დაიცავს რაიონის სპორტულ ღირსებას.

მერის უყვარს ბავშვები, უყვარს მათთან მუშაობა. მათი წარმატებული ასპარეზობა მისთვის დიდი მოტივაციაა.

ჭადრაკის დაფასთან მერის მეგობრობა თითქმის უკვე 40 წელზე მეტია გრძელდება. ამ წლების მანძილზე ჰქონია გამარჯვებების სიხარული, მადლობის სიგელები წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის 2008, 2009 წლებში მუნიციპალიტეტის გამგეობიდან და 2017 წელს ჯილდო წლის საუკეთესო მწვრთნელს მუნიციპალიტეტის მერიისგან.

მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2023 წელს სპეციალურად დამზადებული პრიზი წარწერით და მადლობის ფურცელი „საუკეთესო პედაგოგს მოსწავლეთა მშობლებისაგან“.

მერი ჩაფიჩაძე დარწმუნებულია და იმის მოლოდინშია, რომ მისი ნიჭიერი და მონდომებული ნორჩი მოჭადრაკეები თავიანთ სიტყვას იტყვიან სპორტის ამ სახეობაში.

წარმატებები დაგბედებოდეთ!

მზია ცქიფურიშვილი

იშვიათი პროფესიის კაცი

ხარაზი—„წუღა-მაშიის მკერავი“. წუღა-ჩუსტის მკერავი ან შემკეთებელი, ასეა განმარტებული სულხან-საბას და ქართული ენის ლექსიკონებში.

ორი მნიშვნელოვანი წყარო კი მოვიშველიეთ, მაგრამ ამ წყაროების გარეშეც ვიცით ფეხსაცმლის მკერავის ან შემკეთებლის დანიშნულება და საქმიანობა, მაგრამ სადღა არიან ისინი.

წლების წინ ეს ხელობა მეტად საჭირო და აუცილებელიც კი იყო. ყველა სოფელში პატარა, ხშირად კეთილმოუწყობელ, დამოუკიდებლად ან რომელიმე დაწესებულების ერთ ოთახში მუშაობდნენ ფეხსაცმლის მკერავ-შემკეთებლები და მუდმივად ჰქონდათ საქმე.

ახლა ხარაზობა იშვიათობაა და თითო-ორი თუ მისდევს ამ საქმიანობას, მაგრამ ვინც მისდევს და აგრძელებს ძირძველ ხელობას, უნდა დავაფასოთ და ხელიც შევუწყოთ, სტიმული მივცეთ. კი გვგონია, რომ ეს დარგი აღარ გვჭირდება, მაგრამ მთლად ასე არ ყოფილა საქმე.

თერჯოლაში, ავტოსადგურის ტერიტორიაზე მუშაობს ხარაზი, რომელსაც ყოველთვის აქვს საქმე. პატიოსანს და არც მაინცდამაინც მეძვირეს ჰყავს მომხმარებელი, აქვს განუყრელი წინსაფარი, მრავალნაირი ე.წ. კალაპოტები, ძაფები, ნემს-მახათი, სადგისი, დანადგარები, სხვადასხვა ფერის ტყავები. ოთახში აწყვია შეკეთებული თუ შესაკეთებელი სხვადასხვა სახის ფეხსაცმელები, ზოგი გვარ-სახელების მითითებით და თარიღებით, როდის რომელი უნდა ჰქონდეს მზად.

უყვართ და აფასებენ ჟორა კირკიტაძეს, ალბათ იმიტომ, რომ კარგი ხელოსანია, კარგი კაცი. ბატონი ჟორა უმაღლესი განათლებითაა, გვითხრა, რომ მამამ სკოლიდან მე-8 კლასიდან გამოიყვანა. ნიჭიერი და საუკეთესო მოსწავლე ყოფილა, მერე ღამის სკოლა დაუმთავრებია, რუსეთში წასულა, წარჩინებით დაუმთავრებია ოდესის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის საინჟინრო ფაკულტეტი და სწავლისას და მუშაობისას ძალიან გამოდგომია ზესტაფონის რაიონში დამთავრებული ტექნიკური სასწავლებელი, სადაც ხარაზის პროფესიას დაუფლებია.

წლების განმავლობაში მუშაობდა პეტერბურგში, სადაც თავისი სახელოსნო ჰქონია და აქაც შეიძინა დიდი გამოცდილება.

ასაკოვანი, ახლა უკვე მშობლიურ თერჯოლაშია. მომხმარებელი მუდამ ჰყავს. უხარიათ ჟორასთან მისვლა, ხუმრობა-საუბარი, ისიც ვეღარ ელევა კლიენტებს, ფეხსაცმლის შეკეთების ბოლო დეტალს კლიენტთან ერთად ასრულებს და ისმენს უამრავ ამბავს, ამ მოსმენა-საუბარში მალე გადის დრო და დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი ტოვებს სამუშაოს. ხვალინდელი უკეთესი დღის იმედით, ხშირად ფიქრობს მომხმარებელზე, ცდილობს არავინ გაანაწყენოს. ნაკლ-ხარვეზი არასოდეს ჰქონია მის შეკერილ თუ შეკეთებულ „ჩუსტ-წუღას“, მაგრამ რომც ექნეს, ან დაარღვიოს ვადები, არავინ უნაწყენდება. უყვართ და იმიტომ.

კარგი ოჯახი აქვს ჟორა კირკიტაძეს, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მრავალ ახალ წელს მოსწრებოდეთ ჟორა ბატონო!

ჟუჟუნა ცხადაძე

მაღალი სტანდარტების ქალბატონი

„არავინ თქვას რუსუდან უსუფაშვილს შვილი არ ჰყავსო“— თქვა მან თავად, ერთი თუ ორი წლის წინ, ერთ ღონისძიებაზე და ხელის მოძრაობით და ხედვით მიანიშნა თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებით სავსე დარბაზზე. „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“-ო, სწორედ ასეთებზე წერდა ალბათ პოეტი.

№2 სკოლის პედაგოგები კი ამბობენ

„პიროვნების უმთავრესი მისიაა ისე იცხოვროს, რომ მაგალითი გახდეს სხვებისთვის, გაკვალოს რთული გზა და სავალი გაუმარტივოს მომავალ თაობას, ასწავლოს ღირებულებებით ცხოვრება და გახდეს საიმედო დასაყრდენი ადამიანებისთვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერი ერთიანდება ადამიანში, რომელიც უამრავი პიროვნების მასწავლებელია. ეს ქალბატონი რუსუდან უსუფაშვილია, ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი. რამდენიმე ათეული წელია, რაც ის ქიზიყიდან თერჯოლაში გადმოვიდა საცხოვრებლად და მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა თერჯოლის მეორე საჯარო სკოლა.

პატიოსნება, სისადავე, პროფესიონალიზმი, კოლეგიალობა, მზრუნველობა, უანგარო გვერდით დგომა—ეს მცირე ჩამონათვალია იმ თვისებების, რომლებითაც გამოირჩევა რუსუდან მასწავლებელი.

მასწავლებელი ბევრია, მაგრამ ისინი, რომელთა სიყვარული და პატივისცემა წლებს უძლებს ყოფილ მოსწავლეთა გულში, ცოტანი არიან. დროის მიუხედავად, დღესაც ხშირად ნახავთ ბედნიერებით სავსე რუსუდან მასწავლებელს, რომელსაც უამრავი ნამოწაფარი ურეკავს. უყურებ მათ ურთიერთობას და ხვდები, რომ არც ყოფილი მასწავლებელი არსებობს და არც ყოფილი მოსწავლე. ჭეშმარიტ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობა ძალიან ღირებული და ხანგრძლივია—ისეთივე მოწიწებით, რიდითა და პატივისცემით სავსე, როგორიც წლების წინ, მაშინ, როცა მასწავლებელი ჟურნალით ხელში საკლასო ოთახში შემოდიოდა და შენ, როგორც მოსწავლე, ფეხზე წამომდგარი ხვდებოდი. წლების შემდეგ არაფერი იცვლება, პირიქით, ხვდები, რომ პოეტ მორის ფოცხიშვილს ბევრი ადამიანის სათქმელი უთქვამს სიტყვებით:

„ქუდი მოიხადე, ბატონო ჩემო,
მასწავლებელი მოდის!“

* * *

„ბატონ სიმონ გაბრიჭიძესთან, ქალბატონ ნარგიზ ცქიფურიშვილთან და ერთი იდეით, შეექმნათ ღირსეული განათლების კერა, სავსე კოლექტივთან ერთად რუსუდან მასწავლებელი წლების განმავლობაში დებდა მყარ აგურებს იმისთვის, რომ მეორე საჯარო სკოლას არასდროს გადაეხვია იმ ღირსეული გზიდან, რომელიც სკოლის შექმნის დღიდან განისაზღვრა. როგორც ხელმძღვანელი, კოლექტივში უზრუნველყოფდა ურთიერთპატივისცემას, გვერდით დგომას, პროფესიულ ზრდას და ერთი იდეის—შეექმნათ თანამედროვე სტანდარტებზე ორიენტირებული სასწავლო გარემო— ირგვლივ კოლექტივის თითოეული წევრის გაერთიანებას. შეძლო კიდეც, კოლექტივმა მისი მოღვაწეობა, ქ. თერჯოლის მეორე საჯარო სკოლის ამჟამინდელ დირექტორთან, ფიქრია დემეტრაშვილთან ერთად თავდადებად შეაფასა და გადასცა ჯილდო სახელწოდებით „მადლობა თავდადებისთვის“, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებდა: „ერთ მასწავლებელს, ერთ წიგნს, ერთ კალამს შეუძლია შეცვალოს სამყარო“. შეცვალა კიდეც და დღეს, მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ცხოვრების მასწავლებელია“.

მისი ცხოვრების გზა...

„რა სხვანაირი თვეა ოქტომბერი, თბილი, ლამაზი და ოქროსფერი, ჰაერიც სხვანაირი ხდება. ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს ის ოცნებები უნდა აგიხდეს, ამდენხანს რომ დაგქონდა გულით.

სწორედ ამ თვეშია დაბადებული ქალბატონი რუსუდან უსუფაშვილი, ქიზიყის, სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაღაროში, 1953 წლის 28 ოქტომბერს.

1970-71 წელს დაამთავრა სოლომონ დოდაშვილის სახელობის მაღაროს საშუალო სკოლა და 1974 წელს ჩაირიცხა ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ფიზიკის განხრით.

1978 წელს დაამთავრა ინსტიტუტი და თავისუფალი განაწილებით ჩამოვიდა თერჯოლაში. სამწლიანი სიყვარულის ფონზე, რძლად მამია დოლაკიძის და თამარ ქარქაშაძის ოჯახში შევიდა, ირაკლი დოლაკიძის მეუღლე გახდა. ქალბატონი თამარი წინააღმდეგი იყო: „კახელი ქალი იმერეთში არ ივარგებსო“, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ აღნიშნავდა: „ქცევის ნორმებში ჩამჯდარი ქალი უკეთესი არ მინახავს, იღბალი გაქვთ დოლაკიძეებსო“.

ქალბატონი თამარი იყო ძლიერი ადამიანი და პირადი მაგალითი ქალბატონი რუსუდანისა. მისგან ბევრი რამ ისწავლა და როცა საჭირო გახდა, ოჯახიც შესაბამისად წარმართა, როგორც ოჯახის დიასახლისმა და ირაკლი დოლაკიძის მეუღლემ.

მეუღლე ირაკლი დოლაკიძე მალევე დაინიშნა სხვადასხვა თანამდებობაზე. ყველგან, სადაც კი მუშაობდა, ამჟღავნებდა ნიჭსა და უნარს, კვალიფიკაციას, მაღალ პასუხისმგებლობას, საქმის ერთგულებას, სწორედ ამიტომ ჰქონდა ავტორიტეტი, ამიტომ უყვარდათ და აფასებდნენ.

ირაკლი დოლაკიძის მეუღლეობა ადვილი არ იყო, მაგრამ სიყვარული ყველაფერზე იმარჯვებდა, როცა გიყვარს შენში დიდი სიმდიდრე იშლება, არც კი გჯერა, რომ შეგიძლია ასე გიყვარდეს, მათ სიყვარულს ბზარი არასოდეს გასჩენია, თუმცა ავიც უნახავთ და კარგიც. ცხოვრებაში სავალ გზაზე მკვეთრი მოსახვევები დახვედრიათ, მაგრამ ცოლ-ქმრის „ღვთაებრივი კეთილშობილება“ ყველა სიძნელეს ძლევდა, გაუძლეს, გადალახეს. ერთი ტკივილი ჰქონდათ მხოლოდ, შვილი არ ჰყავდათ, მაგრამ გაზარდეს რუსუდანის ძმისშვილი, პატარა რუსუდან უსუფაშვილი. პატარა რუსუდანმა დაუფასათ შრომა და ნიჭიერი, შემოქმედი ქალი დადგა.

ირაკლი დოლაკიძე გარდაიცვალა, მაგრამ მის მიერ გავლილი ცხოვრება მაგალითია, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი. ქალბატონი რუსუდანი კი ორივეს მაგიერ უძღვება ოჯახს, ცდილობს შეინარჩუნოს ის სიმაღლე, რაც დაუტოვა მეუღლემ და კიდევ უკეთესად, რადგან ნამდვილი სიყვარული არასოდეს კვდება.

ახლა ქალბატონი რუსუდანი მოგვიწოდებს: „დაუთმეთ მეტი დრო, ვინც გიყვართ, დააფასეთ ძვირფასი მომენტები, იპოვეთ დრო სიყვარულისთვის, რადგან კონსტანტინე გამსახურდიას თქმით „სიყვარულია თავად ღმერთი ამ ქვეყანაზე“.

ქალბატონმა რუსუდანმა 1978 წელს დაიწყო მუშაობა თერჯოლის N2 საშუალო სკოლაში ტექნიკური კაბინეტის გამგედ. მას სკოლაში მუშაობა მოუწია ისეთ გამორჩეულ ადამიანებთან, როგორიც იყვნენ სკოლის შეუდარებელი ხელმძღვანელები: სიმონ გაბრიჭიძე და ნარგიზ ცქიფურიშვილი. 1998 წელს აირჩიეს დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, ქალბატონი ნარგიზ ცქიფურიშვილის დირექტორობით.

2007 წელს გააგრძელა სასწავლო ნაწილის მოვალეობის შესრულება ახალი დირექტორის, ია რობაქიძის ხელმძღვანელობით.

2011 წლის 15 ნოემბერს სამინისტროს ბრძანებით დაინიშნა თერჯოლის N2 საჯარო სკოლის დირექტორად“.

* * *

სრული 12 წელი ხელმძღვანელობდა ქალბატონი რუსუდანი თერჯოლის №2 საჯარო სკოლას, იყო ღირსეული დირექტორი და ღირსეულადვე დატოვა თანამდებობა. ახლა როგორც მასწავლებელი კვლავ აღზრდის სამსახურშია—მას ყოველთვის ესმოდა და ესმის მასწავლებლის დანიშნულება. ყოველთვის იცოდა, რომ საუკეთესო თვისებები მოსწავლეს გადაეცემა არა ყოველდღიური ჭკუის სწავლებით, არამედ ყოველდღიური მაგალითის მიცემის საშუალებით. ქალბატონი რუსუდანი არის მასწავლებელი, რომელიც პატივს სცემს ახალგაზრდების გრძნობებს. მისი ქცევის ნორმა დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის ცოდნის ხარისხზე, უშურველად „ურიგებს“ მათ ცოდნას—ცხოვრების საგზალს, რომელიც თვითონ გამოულეველი აქვს, რადგან ათეული წლები ხვავსა და ბარაქას ჰმატებდა მას.

ჟუჟუნა ცხადაძე

ანა კალანდაძე— პოეზიის დედოფალი

100 წელი პოეტის დაბადებიდან

ყველასათვის საყვარელი, ჭეშმარიტად სახალხო პოეტი, ლიტერატორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ანა კალანდაძე 1924 წლის 15 დეკემბერს დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში.

ლექსების პირველი კრებული 1953 წელს გამოიცა, რომელმაც უამრავი თაყვანისმცემელი შესძინა. მკითხველთა აღტაცებას იწვევდა მისი ლექსების შემდგომში გამოცემული კრებულებიც, სრულიად განსხვავებული, სხვა სურნელითა და ანდამატით გაჯერებული სტიქონები...

ახალგაზრდა პოეტი იმთავითვე შეიყვარა და აღიარა სრულიად საქართველომ, დიდმა თუ პატარამ. „პოეზიის დედოფალი“—ეს დამსახურებული წოდებაც გამოხატულებაა იმისა, რომ მას ქართულ პოეზიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს...

ანა ერთადერთი პოეტი ქალია, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ (2008 წ) სამუდამო განსასვენებელი უკვდავების წილნაყარ ადამიანებთან ერთად მთაწმინდის პანთეონში მიუჩინა მისმა სათაყვანებელმა საქართველომ.

შემოდიოდა ჩვენში კალანდა

და მე ვიგონებ ჩახლართულ
ღობეს
სერებს თოვლიანს...
ხმობდა ქათამი გურიის სოფელს,
ყეფდა თოლია...
იდგა ბერმუხა ღამისმთევარი
თოვლში ნაბდითა...
დილით მისდევდა სერზე მწევარი
ნაკვლევს ნადირთა...
ქარი თვრებოდა ღვინით ნაქებით
გრძნეულ მარანთან...
შემოდიოდა ჩიჩილაკებით
ჩვენში კალანდა...

წინ, საქართველოს სახელით!

ჩვენებური სპორტსმენების ბარაქიანი 2024 წელი

თერჯოლის სპორტსკოლის აღსაზრდელებისა და დიდი სპორტის ჩვენებური წარმომადგენლებისათვის ბარაქიანი იყო გასული—2024 წელი. მათ არაერთგზის გაგვახარეს სანაქებო გამოსვლებით, სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებსა და ტურნირებზე მრავალი ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო შემატეს თავიანთ მონაგარს. ასახელეს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მუნიციპალიტეტი...

მადლობა მათ მწვრთნელებს, ოჯახებს და ახლობლებს...

დიდი იმედით და რწმენით ვულოცავთ მათ მაცხოვრის შობას და ახალ წელს!

გვჯერა, რომ ჩვენებურები ბევრჯერ გაგვახარებენ!

სპორტი ის უნიკალური საშუალება, ჩვენი ცხოვრების ის ნაწილია, რომელსაც მეტად სწრაფად შეუძლია შეცვალოს არა მხოლოდ ჩვენი გუნება-განწყობა, არამედ ჩვენი ემოციები, პირდაპირ შეგვასისლხორცოს მამულის სიყვარულს...

ჩვენი სპორტსმენების წარმატებულ გამოსვლებს და თავდადებას, კრიტიკულ სიტუაციებში მოწინააღმდეგისათვის გაწვდილ ხელს არაერთჯერ მოუყვანია აღტაცებაში არა მარტო ქართველი გულშემატკივარი...

ყოფილა შემთხვევებიც, როცა მათ ღირსეულ გამოსვლებს, წაგების მიუხედავად უფრო მეტი აღიარება დაუმსახურებიათ ვიდრე გამარჯვებულებს...

სწორედ ასეთი ღირსეული ადამიანებიდან სწავლობს მომავალი თაობა, ისინი, ვინც ეს ქვეყანა უნდა ჩაიბაროს.

ჩვენი გაზეთის ამ საშობაო-საახალწლო ნომერში, მომავლის გეგმებსა და მიზნებზე გვესაუბრებიან სხვადასხვა თაობის სპორტსმენები, რომლებსაც განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ თერჯოლასთან. მათ უყვართ თერჯოლა და თერჯოლელები, ამაყობენ, რომ აქ დაიბადნენ, გაიზარდნენ ან აქაა მათი გვარის ფუძე.

ილია სულამანიძე, ავთანდილ ბრეგვაძე, ძმები რომეო და ლუკა ნიქაბაძეები...

ჩვენს საამაყო ამ სპორტსმენებს წინასაახალწლო დღეებში შევეხმიანეთ...

უზომოდ კმაყოფილი დავრჩით მათი გულისხმიერებით, ყურადღებით და მოკრძალებით. გასაოცარია, როცა ადამიანებისაგან, ვინც მუდამ მოწინააღმდეგის ძლევაზე ფიქრობს, თავაზიანობისა და უბრალოების მისაბაძ მაგალითებს, რომ ღებულობ.

მიზანი ოლიმპიური ოქროა!

ილია სულამანიძე

იგი 23 წლისაა, მაგრამ უკვე თქვა სერიოზული სიტყვა მსოფლიო ძიუდოს სამყაროში. არაერთი ტიტულისა და ჯილდოს მფლობელია. მისთვის განსაკუთრებული იყო გასული წელი, რომელმაც დიდი გულისტკივილი დაუტოვა, როცა პარიზის ზაფხულის ოლიმპიადაზე, ფინალში გასულმა, რომელსაც იგებდა, დარჩენილ ბოლო წამებზე დაკარგა ოლიმპიური ჩემპიონობა. დაკარგა, მაგრამ სამომავლოდ მაინც დიდი შემართებითაა...

„პარიზის ოლიმპიადა დიდი გულისტკივილი და გაკვეთილიც იყო ჩემთვის. მთავარი მიზანი გამოკვეთილია—გავხდე მომავალი, 2028 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი“—დაჯერებითა და მტკიცედ აცხადებს ილია. რომელმაც ასევე გვითხრა, რომ სწორედ ამ ამოცანის შესრულებაზეა გათვლილი მისი ოლიმპიური საჩემპიონო მზადება, რომელიც უკვე დაწყებული აქვს.

„მიმდინარე წელს ჩემთვის მთავარია ორი ჩემპიონატი—ევროპული და მსოფლიო, რომლებიც აპრილსა და ივნისში გაიმართება. ამ ჩემპიონატების მზადების გეგმით მონაწილეობას მივიღებ რომელიმე ალბათ ორ პატარა, შეჯიბრებაზე.

ეს რაც შეეხება 2025 წელს. შემდეგი წლებიც ყოველთვის ასე გაწერილი გვექნება, რაც იმ გრძელვადიანი მზადების ნაწილია, 2028 წლის ოლიმპიადა, რომ მოვიგოთ. ყოველთვის შევეცდები თერჯოლა ისე როგორც ტყიბული ამაყობდეს ჩემი მიღწევებით, მიყვარხართ, უღრმესი მადლობა“—გვითხრა ილიამ.

ძმები მხოლოდ ჩემპიონობას უმიზნებენ!

რომეო და ლუკა ნიქაბაძეები

რომეო და ლუკა ძმები არიან, მათი მშობლიური სოფელი ნაგარევია.

ასაკით უფროსი რომეოა. მან კარგად იცის მსოფლიო ჩემპიონობის ფასი. იგი ჯერ კიდევ 2023 წელს გახდა სამბოში ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი, გასულ წელს კი კვიპროსის ქალაქ ლარნაკაში მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ამჯერად ახალგაზრდებს შორის, 98 კგ წონით კატეგორიაში.

წინასაახალწლო დღეებში ტელეფონით პირადად სწორედ მას ვესაუბრეთ.

ძალიან გაუხარდა საახალწლოდ მშობლიური რაიონიდან შეხმიანება. ამჯერად თბილისში ვართო—გვითხრა, ძმა ლუკაც ჰყავდა მხედველობაში. „ერთად ვვარჯიშობთ ინტენსიურად. 2025 წელს მიზნად მაქვს ჩემს წონაში ევროპის ჩემპიონატიც მოვიგო და მსოფლიო ჩემპიონატიც. ეს მიზანი აქვს ლუკასაც, რომელიც ჭაბუკებს შორის ბრინჯაოს მედალოსანია. ვნახოთ რას მივაღწევთ. ჩვენის მხრივ მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ ეს შევძლოთ და გავახაროთ ჩვენი გულშემატკივრები, ჩვენი საქართველო, ჩვენი თერჯოლა—გვითხრა მან.

თერჯოლელმა მწვრთნელებმა დაასახელეს თერჯოლის სპორტსკოლის 2024 წლის ყველაზე წარმატებული აღსაზრდელები

—**ლუკა ბუიღლიშვილი,** საქართველოს 2024 წელს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა).

—**იური ჩაფიძე,** 2024 წლის ბათუმის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი (ბ/რ ჭიდაობა).

—**რამაზი ბარდაველიძე,** საქართველოს 2024 წელს ჩემპიონი კიკ-ბოქსინგში.

—**ნიკა ბრეგვაძე,** საქართველოს 2024 წელს ჩემპიონი სამბოში კადეტთა შორის.

—**თამარ ზარნაძე,** საქართველოს 2024 წელს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი სამბოში კადეტთა შორის.

—**ზურა ბოჭორიშვილი,** საქართველოს 2024 წელს სარეიტინგო ტურნირის ჩემპიონი ძიუდოში.

—**საბა სულამანიძე,** საქართველოს 2024 წელს სარეიტინგო ტურნირის ვერცხლის მედალოსანი ძიუდოში.

—**ლანა სოფრომაძე,** ჭადრაკში ქუთაისის საკვალიფიკაციო ტურნირის 2024 წლის ორგზის ჩემპიონი.

—**ნინი წივწივაძე,** ჭადრაკში ბათუმისა და ლანჩხუთის 2024 წელს ტურნირების ჩემპიონი.

—**გიორგი რობაქიძე,** კარატეში ბათუმის საერთაშორისო ტურნირის 2024 წლის ჩემპიონი.

—**ირინე გეწაძე** და **ბარბარე მარუაშვილი**—საქართველოს 2024 წლის ჩემპიონები აკრპობატიკაში გოგონათა წყვილებს შორის.

—**გიორგი გიორგაძე,** თავისუფალ ჭიდაობაში 2024 წელს საქართველოს სხვადასხვა ტურნირების ჩემპიონი და პრიზიორი.

კვლავ წარმატებები ყოფილიყოს თქვენი მეგზური.

ძიუდოში აღზევებული რაგბისტი

ავთანდილ ბოგვერაძე

სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ გასული წლის მიწურულს. ჩვენებურმა ავთანდილ ბოგვერაძემ, აშშ-ში, ლას ვეგაში, ძიუდოში გამართულ ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი საქართველოს ვეტერანთა ნაკრების სახელით გამოსვლისას მოიპოვა.

ავთანდილ ბოგვერაძე თერჯოლელია. იგი აქ დაიბადა, სოფელ ეწერში იზრდებოდა. მოხდა ისე, რომ ბოგვერაძეები საცხოვრებლად ქუთაისში გადავიდნენ, სადაც ავთანდილმა საშუალო სკოლა დაამთავრა. სწორედ ქუთაისში დაიწყო მისი სპორტული ცხოვრება. იგი ერთხანს ძიუდოთი იყო გატაცებული, მოგვიანებით კი რაგბით დაინტერესდა. ერთხანს საქართველოს ჩემპიონატზე სარაგბო კლუბ—„ბაგრატში“ თამაშობდა და წარმატებულიც იყო. შემდეგ კი კარიერა საფრანგეთში გააგრძელა.

ფრანგული პრესა, რომელიც მაღალ პროფესიულად აშუქებს სპორტის ამ სახეობის ამბებს, ბევრჯერ წერდა ავთანდილ ბოგვერაძის კარგ თამაშზე.

როგორც გავარკვიეთ ავთანდილი ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს და იქ თავისი ახალგაზრდობის დროინდელი სპორტის სახეობა ძიუდო გაიხსენა და სულ მალე დიდ წარმატებასაც მიაღწია.

ჯერ იყო და დენვერში ჩატარებულ კოლორადოს შტატის ღია პირველობაზე 100კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა. აი რა უთხრა მან იქაურ პრესას: **„ძიუდოზე 12 წლის ასაკში ჩემი სურვილით აღმოვჩნდი, ქუთაისის №17 სპორტსკოლაში დავდიოდი, სადაც ბავშვებს ძიუდოს ლეგენდა, 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიადის ოქროსმედალოსანი დავით ხახალეიშვილი ავარჯიშებდა. მაქვს მოგებული რამდენიმე ღია პირველობა, თუმცა ყველაზე დასამახსოვრებელი იყო 17 წლის ასაკში, აზერბაიჯანის საერთაშორისო ღია პირველობაზე მოგებული ოქრო, ასევე 18 და 19 წლის ასაკში საქართველოს პრიზიორობა, მედლები მომიგია თურქეთსა და საბერძნეთშიც.**

—როდესაც დენვერში ჩამოვედი, სასწრაფოდ დავიწყე დარბაზის ძიება, საიდაც ვარჯიში და ფორმის შენარჩუნება შემეძლებოდა. საბოლოოდ Denver Judo School-ში აღმოვჩნდი. რამდენიმე კვირის შემდეგ გავიგე, რომ კოლორადოს შტატის ჩემპიონატი იმართებოდა და მონაწილეობის მიღება გადავწყვიტე. არ მეგონა თუ ჩემს წონით კატეგორიაში ასეთი კარგი სპორტსმენები დამხვდებოდნენ და ასეთი ძლიერი კონკურენტები მეყოლებოდა, მაგრამ ამერიკა მოგეხსენებათ დიდი ქვეყანაა და შესაბამისად, ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი ვარჯიშობს. ყველაზე რთული ბრძოლა ფინალში მქონდა, სადაც საკმაოდ ტიტულოვანი და გამოცდილი სპორტსმენი, ჯესი ბატლერი შემხვდა, საბედნიეროდ ძალების მობილიზება მოვახერხე და დაღლილობის და ნახევარფინალში მიღებული ტრავმის მიუხედავად მაინც მივიყვანე ბრძოლა სასურველ შედეგამდე“.

სულ მალე კი ავთანდილ ბოგვერაძე მძიმე წონაში, აშშს ღია პირველობის ჩემპიონი გახდა. მიუხედავად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და ბევრი სხვა წინააღმდეგობისა, მან წარმატებას მაინც მიაღწია. ავთანდილმა პირველი ეტაპი გამოტოვა და ტურნირში მეორე ეტაპიდან ჩაერთო, სადაც ხერონიმო საუსედო დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ჯიანი ჰალაკს სძლია, ფინალში კი, აბას აბასოვი დაამარცხა.

წარმატებები ვუსურვოთ ჩვენებურს სპორტსა და პირად ცხოვრებაში!

ჩვენთვის მეტად სასურველ ამ სპორტსმენებს, ბევრ სხვა მნიშვნელოვან თემებზე ვესაუბრე, მაგრამ თქვენთვის მხოლოდ იმის თქმა გვინდა თუ როგორი სიმტკიცითა და შემართებით არიან ისინი განწყობილი სამომავლოდ...

მათი გვჯერა... გვწამს, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა ღირსეულად წარმოაჩინონ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი...

საახალწლოდაც სწორედ ეს ვუსურვეთ ჩვენს ღირსეულ ბიჭებს... თავის მხრივ არც მათ დაუშურებიათ მადლიერება და მადლობები თერჯოლისა და თერჯოლელების მიმართ.



2025—გლობალური ცვლილებების წელი

აღმოსავლური კალენდრის მიხედვით ახალი 2025 წლის მმართველი ბრძენი გველია. ამავე წელს ნეპტუნი და ურანი შეიცვლიან ზოდიაქოს ნიშნებს, რაც გამოიწვევს გლობალურ ცვლილებებს ყველა ჩვენგანისთვის. იგი იმოქმედებს ზოდიაქოს თითოეულ ნიშანზე...

2025 წელს დასრულდება დიდი მუტაცია, რომელიც 2020 წელს დაიწყო. ეს პერიოდი დაკავშირებულია ზოდიაქოს ნიშნებში პლანეტების ხანგრძლივ ციკლებთან. ნეპტუნი ვერძში გადადის, ურანი კი ტყუპში. პლუტონი, ნეპტუნი და ურანი ქმნიან ყველაზე პოზიტიურ ასპექტს, რაც ქმნის ხელსაყრელ ატმოსფეროს ახალი წამოწყებისა და ცვლილებებისთვის.



იმისათვის, რომ წარმატებით გაიაროთ ეს პერიოდი, მნიშვნელოვანია იცოდეთ რას უნდა ელოდოთ და რა გააკეთოთ:

სამყარო გზას გაუხსნის ზოდიაქოს ნიშნებს ახალი აღმოჩენებისა და შესაძლებლობებისკენ.

პირველ რიგში, ყურადღება უნდა გაამახვილოთ თქვენს მიზნებსა და მისწრაფებებზე, ასევე გააძლიეროთ თქვენი სულიერი და ემოციური სტაბილურობა.

მეორე - უნდა დარჩეთ მოქნილი და გახსნილი ახალი შესაძლებლობებისა და პრობლემებისადმი.

მესამე, აუცილებელია გააძლიეროთ თქვენი სოციალური კავშირები და ურთიერთობები საყვარელ ადამიანებთან, რადგან ცვლილებების დროს სწორედ ეს ითამაშებს მთავარ როლს ფსიქოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნებაში.

2025 წელს არაერთი რევოლუციური ცვლილება იქნება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში — ტექნოლოგიებიდან და ეკონომიკიდან დაწყებული, კულტურისა და საზოგადოებრივი სფეროთი დამთავრებული. სამწუხაროდ, ყოველთვის კრიზისისა და გაურკვევლობის თავიდან აცილება შეუძლებელია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სამყარო გზას გაუხსნის ახალ აღმოჩენებს და ეს მნიშვნელოვანია. ამასთან, მიუხედავად ამ პერიოდის გამოწვევებისა, ჩვენ შეგვიძლია მივხედოთ მას, როგორც პიროვნული ტრანსფორმაციისა და ზრდის შესაძლებლობას. სასურველია, იყოთ მოქნილი, ღია და მზად ნებისმიერი გამოწვევისა და ცვლილებისთვის.

ჩინურ ზოდიაქოში გველი ასოცირდება სიბრძნესთან, მომხიბვლელობასთან, ელეგანტურობასა და ტრანსფორმაციასთან. გველის წელში დაბადებული ადამიანები ჭკვიან პიროვნებებად მიიჩნევიან.

გველის წელში დაბადებულ ადამიანებს ჩინეთში „გველებს“ უწოდებენ. თუ თქვენ დაიბადეთ 2025, 2013, 2001, 1989, 1977, 1965, 1953, 1941, 1929 ან 1917 წლებში, მაშინ ალბათ გველი ხართ. ჩინური ზოდიაქოს წელი ჩვეულებრივ იწყება ჩინური ახალი წლიდან, რომლის თარიღი იანვრის ბოლოდან თებერვლის შუა რიცხვებამდე მერყეობს.

ჩინურ ელემენტთა თეორიაში ზოდიაქოს თითოეული ნიშანი ასოცირდება ხუთი ელემენტიდან ერთ-ერთთან: ოქრო (ლითონი), ხე, წყალი, ცეცხლი და დედამიწა. მაგალითად, ხის გველი მოდის ერთხელ 60-წლიან ციკლში. არსებობს თეორია, რომ ადამიანის მახასიათებლები განისაზღვრება დაბადების წლის ზოდიაქოს ცხოველის ნიშნით და ელემენტით. ასე რომ, არსებობს გველების ხუთი ტიპი, თითოეულს განსხვავებული მახასიათებლები აქვს:

ხის გველი - მოწესრიგებული, ინტელექტუალური, მცოდნე; ცნობილია ადამიანების დაფასებით და დახვეწილი გემოვნებით.

ცეცხლის გველი - ჭკვიანი, გამჭრიახი, კომუნიკაბელური, აქტიური.

მიწის გველი - მშვიდი, ძლიერი თვითკონტროლით, მაგრამ არასაკმარისად მტკიცე და გულმოდგინე.

ოქროს გველი - მტკიცე, მამაცი, თავდაჯერებული და ბუნებრივი ლიდერი.

წყლის გველი - ჭკვიანი, კრეატიული, ცოცხალი და კომუნიკაბელური, მაგრამ სენტიმენტალური.

2025 როგორია თქვენი ზოდიაქოს ნიშანი 2025

ვერძი (21 მარტი -20 აპრილი)

ურანის ტყუპში გადასვლა მოგიტანთ უამრავ იდეას და ახალ პროექტს, რომელიც დაგეხმარებათ წარმატების მიღწევაში. თუმცა, ამან ასევე შეიძლება გამოიწვიოს გადატვირთვა და სტრესი. მნიშვნელოვანია ისწავლოთ როგორ მართოთ თქვენი ენერგია.

დაიმახსოვრეთ, ვერ გამოიმუშავებთ იოლ ფულს. დრო ოჯახსაც უნდა დაუთმოთ.

კურო (21 აპრილი - 21 მაისი)

ვერძში ნეპტუნის გავლენამ შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთობების კონფლიქტი და ემოციური მგრძნობელობის გაზრდა. მნიშვნელოვანია ყურადღება მიაქციოთ თქვენს ემოციებს და ისწავლოთ მათი მართვა. იცოდეთ, რომ თქვენი იღბალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეინარჩუნებთ ჰარმონიას თქვენს ურთიერთობებში.

ტყუპები (22 მაისი - 21 ივნისი)

ურანის გადმოსვლამ თქვენს ნიშანში შეიძლება მოგიტანოთ ახალი შესაძლებლობები და იდეები კარიერაშიც და პირად ცხოვრებაშიც. თუმცა, მას ასევე შეუძლია გამოიწვიოს შფოთვა და სტრესი. შეწყვიტეთ ყველა ინფორმაციის შთანთქმა, არც ყველაფრის დაჯერება არის საჭირო.

კირჩხიბი (22 ივნისი - 22 ივლისი)

ვერძში ნეპტუნის გავლენამ შეიძლება გამოიწვიოს ემოციური მგრძნობელობის გაზრდა. მართეთ საკუთარი ემოციები. არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენთვის მთავარია თქვენი ჯანმრთელობა. ამასთან, იყავით ფრთხილი, რადგან თქვენი საყვარელი ადამიანების ბედი თქვენზეა დამოკიდებული.

ლომი (23 ივლისი - 23 აგვისტო)

ურანის გადასვლამ ტყუპში შეიძლება მოგიტანოთ ახალი შესაძლებლობები თქვენს კარიერაში და პირად ცხოვრებაში. გაზრდილმა აქტივობამ კი შეიძლება გამოიწვიოს გადატვირთვა და სტრესიც კი. მნიშვნელოვანია ისწავლოთ როგორ მართოთ თქვენი ენერგია და არ დაივიწყოთ დასვენება. და რაც მთავარია, ნუ ეცდებით, რომ ყველა თქვენს სტანდარტებს მოერგოს.

ქალწული (24 აგვისტო - 22 სექტემბერი)

ვერძში ნეპტუნის გავლენამ შეიძლება გამოიწვიოს ზედმეტად მომატებული ემოციური მგრძნობელობა და კონფლიქტები ურთიერთობებში. მნიშვნელოვანია ისწავლოთ ემოციების მართვა და არ დაივიწყოთ პირადი ცხოვრება. არ უნდა ეცადოთ გადაწყვიტოთ სხვა ადამიანების ბედი. ეძებეთ მეტი რომანტიზმი ცხოვრებაში.

სასწორი (23 სექტემბერი - 23 ოქტომბერი)

ურანის გადასვლამ ტყუპში შეიძლება წარმოქმნას ახალი შესაძლებლობები და იდეები თქვენს კარიერაში და პირად ცხოვრებაში. მაგრამ, ამან ასევე შეიძლება გამოიწვიოს ზედმეტი აღგზნებადობა, შფოთვა და სტრესი. მნიშვნელოვანია ისწავლოთ როგორ მართოთ თქვენი ენერგია და არ დაივიწყოთ დასვენება. შეინარჩუნეთ ჰარმონია, საკუთარ თავთანაც და გარშემო მყოფებთანაც.

მორიელი (24 ოქტომბერი - 22 ნოემბერი)

ვერძში ნეპტუნის გავლენამ შეიძლება გამოიწვიოს ემოციური მგრძნობელობის მომატება და კონფლიქტი ურთიერთობებში. მნიშვნელოვანია ისწავლოთ ემოციების მართვა და არ დაივიწყოთ თვითგანვითარება. ნაკლები ყურადღება მიაქციეთ შურიან ადამიანებს და ბოროტ კრიტიკოსებს.

მშვილდოსანი (23 ნოემბერი - 23 დეკემბერი)

ურანის გადასვლამ ტყუპში შეიძლება მოგიტანოთ ახალი შესაძლებლობები და იდეები კარიერასა და პირად ცხოვრებაში. თუმცა, არასაჭირო აქტიურობა და „გონების თამაშები“ გამოიწვევს შფოთვას და სტრესს. თქვენი ენერგია უსაზღვროა, მაგრამ ნუ ეცდებით მის გამოყენებას ბოლომდე, ნუ დაეცემით ბრძოლის ველზე.

თხის რქა (22 დეკემბერი - 20 იანვარი)

ვერძში ნეპტუნის გავლენამ შეიძლება გამოიწვიოს თქვენი ემოციურობის გაზრდა. მნიშვნელოვანია ისწავლოთ მისი მართვა და არ დაივიწყოთ თქვენი მიზნები და გეგმები. ნუ მოგინდებათ ყველა გეგმის სწრაფად და ერთდროულად შესრულება ერთგული მოკავშირეების გარეშე გჭირდებათ, თორემ დარჩებით მარტო თქვენი გეგმებით.

მერწყული (21 იანვარი - 18 თებერვალი)

ურანის გადასვლამ ტყუპში შეიძლება მოგიტანოთ ახალი შესაძლებლობები და იდეები. მნიშვნელოვანია ისწავლოთ თქვენი შეუზღუდავი ენერგიის განაწილება და არ დაივიწყოთ დასვენება. მართალია, უსაზღვროა თქვენი ნიჭი, მაგრამ ფიზიკური შესაძლებლობები არა.

თევზები (19 თებერვალი - 20 მარტი)

ვერძში ნეპტუნის გადასვლამ შეიძლება გამოიწვიოს ემოციურობა და კონფლიქტურობა. თქვენთვის უფრო ადვილია გახდეთ ბედნიერი, ვიდრე სხვებისთვის. უბრალოდ მოიხსენით ვარდისფერი სათვალე და შეხედეთ სამყაროს ისეთს, როგორიც სინამდვილეშია.

თქვენი სურვილების ასრულების წელი ყოფილიყოს 2025!

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872